

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXXIV

2023 წლის 20-22 ივნისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2023

2023 წლის 20-22 ივნისს გაიმართება სამეცნიერო სესია „**არნოლდ ჩიქობავას საკითხავები**“. სხდომები ჩატარდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 202-ე აუდიტორიაში. ჩართვა შეიძლება დისტანციურადაც:

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ვ. შენგელია**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2023

ISBN

მ უ შ ა ო ზ ი ს გ ე გ მ ა

20 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. მაჭავარიანი, ლ. ქაროსანიძე**

ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ნ. ნ ა კ ა ნ ი, რ. ჯ ა ფ ა რ ი -
ძ ე, პირველი გერმანულ/რუსულ-სვანურ-ლათინური ლექ-
სიკონის ფრაგმენტი

გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ოტია იოსელიანის სტილის ერთი თავისე-
ბურების შესახებ

ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, გამოთქმისათვის: „იდუმალი „გულის კაცი“

თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ზოგი სიტყვის სპეციფიკური გამოყენებისა-
თვის ოფიციალურ-საქმიან სფეროში

ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე, არის თუ არა გურულში განსაზღვრებითი ნაწე-
ვარი?

თ. ლ ო მ თ ა ძ ე, „შვილი“ ქართველ ებრაელთა გვარებში

ა. რ უ ს ე ც ც ი, პოლიტიკური ლექსიკის და აზროვნების ტრან-
სფორმაციის მეტაკოგნიტური მონიტორინგის და მართვის
მეთოდი

თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ორმაგი ფრჩხილის გამოყენების საკითხისათვის

მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემის – „ქვეშევრდომები“ – პოეტურ-ლინგვისტური თავისებურებებისათვის

21 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. არდოტელი, თ. ბურჭულაძე**

ლ. ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე, ქართულ მრავალდარგოვან ტერმინთა ნორმალიზაცია ქართულ ტერმინთბანკზე დაყრდნობით

ს. ო მ ი ა ძ ე, „ყურსსავით“ – სიმკვრივის განმსაზღვრელი ერთი მსგავსებითი შედარების შესახებ ბაგრატ ბატონიშვილის კულინარიულ დისკურსში

ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი კრებითი ლექსემა სვანურში (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, ადამიანთა წარმომავლობისა და ადგილთა სახელების (ტოპონიმების) წარმოების ზოგი საკითხი ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში

მ. ბ უ კ ი ა, მეგრულ-ლაზური ნათესაობის ლექსიკა

მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, ტარიელ ხარხელაურის პოეზიის ზოგი თავისებურების შესახებ

ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, სინონიმები სვანურში

ს. ჭ ა ა ვ ა, ქვათახევის მონასტერსა და აფხაზეთში დაცული სიმღველეები (ქართული ხელნაწერები და სხვადასხვაენოვანი წიგნები 1923 და 1930 წლების საარქივო მასალების მიხედვით)

22 ივნისი, 12 საათი

თავმჯდომარეები: **ს. ოშიაძე, ვ. შენგელია**

მ. ლ ლ ო ნ ტ ი, გონის, ღონის და ხერხის სუბსტანციურ-სემანტიკური მიმართებისათვის ქართულში („ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“)

ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ხცისი (ეტიმოლოგიური ძიება)

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, პრეპოზიციურ-პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელები ერთ საზღვრულთან (ნორმის პროექტისათვის)

ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, ზოგი სიტყვის (ეხი, შინში) გენეზისისათვის ქართულში

ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, შეკრებიითი რიცხვითი სახელის შესახებ მეგრულში

ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, მცენარეთა სახელები რაფი-
ელ ერისთავის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში

ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, „თხა და ვენახი“ – ხალხური სიმღერის სვანური
ვერსია (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალე-
ბის მიხედვით)

ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ქართული **მაწ** ფუძის მეგრულ-ლაზური და სვა-
ნური შესატყვისისათვის

ზოგი სიტყვის (ეხი, შინში) გენეზისისათვის ქართულში

1. ამა თუ იმ სახელის ეტიმოლოგიის დადგენისა და ისტორიული ინტერპრეტაციისას აუცილებელია როგორც ძირეული ლექსიკური ფონდის გულდასმითი გაანალიზება, ისე ნასესხობათა გათვალისწინება. არაიშვიათად ნასესხობებად მიჩნეული ლექსიკური ერთეულები შეიძლება აღმოჩნდეს ძირეული სიტყვები, ხოლო მკვიდრ სიტყვებად ჩათვლილი ლექსემები გენეზისურად საერთო ოდენობებად ან ნასესხობებად მოგვევლინონ.

სპეციალურ ლიტერატურაში სიტყვა **ეხი** მიჩნეულია ნახურ ნასესხობად (თ. უთურგაიძე, გ. ბედომვილი). თანამედროვე ქართულ ენასა და მის კილოებში იგი დაახლოებით ერთგვარად განიმარტება: „ბუნებრივი გამოქვაბული კლდეში“ (ქეგლ), „კლდე გამონახეთქი ქვაბივით“ (საბა, შდრ. პარეხი „კლდე გამოქვაბული“), „გამოქვაბული კლდე“ (აკ. შანიძე), „გამოქვაბული კლდეში“ (ალ. ჭინჭარაული), „გამოქვაბული მღვიმე, გამოქვაბული კლდე, ავდრის დროს თავშესაფარი“ (ალ. ღლონტი). საგულისხმოა, რომ აკ. შანიძე გუდამაყრულში **ვეხი** ფორმასაც ადასტურებს.

2. ჩვენი აზრით, ეს ლექსემა არ უნდა იყოს ნახურ ენათაგან შეთვისებული, არამედ იგი ქართველურ ენათა კუთვნილება ჩანს და ნახურ ენათა შესაბამის მონაცემს (შდრ. ჩეჩნ. **ჰეხ**, ინგ. **ჰადარ**, წ.-თუშ. **ჰეხ** „გამოქვაბული“) გენეზისურად ამ ფორმით არ უნდა უკავშირდებოდეს. კერძოდ, იგი რელიქტურად დაცული ჩანს კომპოზიტიში **პარეხი**, რაზედაც მისი სემანტიკა მიგვანიშნებს: „კლდე გამოქვაბული“, **შთაპარეხვა** „ნაპრალში ჩაგდება, ნახეთქში ჩაგდება“ (საბა). „კლდის ქვაბი, სადგური“ (დ. ჩუბინაშვილი). 1. „ნაპრალი კლდეთა შორის“, 2. „კიბის საფეხური“ (მ. ცხ. 113r). „მას ჟამსა მიძნადოროდთ ხანძთად მოვიდა დიდი მეუდაბნოჲ მიქელ მამად, რომელი დაემკვიდრა **პარეხთა**“ (გრ. ხანძთ.).

რაც შეეხება სავარაუდო კომპოზიტის პირველ კომპონენტს, მას ს.-ს. ორბელიანი ასე განმარტავს: „პირველივით ითქმის“. თუ ამ სემანტიკას მივუსადაგებთ **პარეხ**-ში ნახმარ მნიშვნელობას, მაშინ

ეტიმოლოგიურად მას უნდა აღენიშნა „პირველი ეხი“, „წინა ეხი“. ცხადია, **ეხი** გამოქვაბულს არ უდრის: **ეხი** „კლდე გამონახეთქი ქვა-ბივით“, შდრ. **პარეხი** „კლდე გამოქვაბული“ (საბა). **ეხი** **პარეხის**აგან განსხვავდება სიღრმე-სიგანითაც და სიმაღლითაც, ვინაიდან **ეხი** ბუნებრივად გამონახეთქი კლდეა, ხოლო **პარეხი** უფრო მეტად დამუშავებული და საცხოვრებლად გამზადებული სადგომი.

3. ყურადღებას იქცევს ხევსურულ დიალექტში თავჩენილ კომპოზიტთან **ძმა-ბიძაშვილი** („ახლო ბიძაშვილები“) ფუნქციურ-სემანტიკურად ახლოს მდგომი **ძმა-სახლისკაცები** და **ძმა-შინში**. მიუხედავად მსგავსებისა, ამ კომპოზიტთა სემანტიკური ველები ერთმანეთს მაინც ვერ ფარავს: პირველი კომპოზიტი **ძმა-სახლისკაცები** მეტწილად ძმას და ოჯახში მყოფ მამაკაცებს მიემართება, ხოლო მეორე კომპოზიტი ჩვეულებრივ ნართანიანი მრავლობითის ფორმით დასტურდება (**ძმა-შინში-ი**) და მნიშვნელობით უფრო ახლოს დგას **ძმა-ბიძაშვილებ**-თან.

აღსანიშნავია, რომ კომპოზიტში **ძმა-შინში-ი** ინტერესს იწვევს მეორე კომპონენტი, რომელზეც სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება ეტიმოლოგიის დადგენის ცდები, კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება მისი ნახური წარმომავლობის შესახებ (თ. გონიაშვილი, რ. ხარაძე ალ. ჭინჭარაული...). მოგვიანებით ამ საკითხს შეეხო იუწყუს დემერიევი, რომელმაც განიხილა ნახური ენებიდან **შინში** (ჩეჩნ. **შინა**, ინგ. **შუჩა**, წ.-თუმ. **შიჩჟ** „ბიძაშვილი“, „დეიდაშვილი“) სესხების შესაძლებლობა, მიგვითითა ფონეტიკურ დაბრკოლებაზე (**ჩ-ნში**)¹ და არსებული ეტიმოლოგიის ჰიპოთეტურობაზე (დემერიევი 1978: 239).

4. ჩვენი თვალსაზრისით, ზემოთ წარმოდგენილი ნათესაობის ტერმინის ნასესხობად მიჩნევა ნაკლებდამაჯერებელია. **შინში** საკუთრივ ქართულისა და მისი დიალექტების საფუძველზევე შეიძლება აიხსნას, ეს სიტყვა ფონეტიკურად განსხვავებული სახით დადასტურებული აქვს ს.-ს. ორბელიანს: **შინში** „დეიდაშვილი, მამიდაშვილი“.

გენეზისურად **შინ** ზმნისართთან ჩანს დაკავშირებული **შინში**, რომლის მიღების ორი გზა არსებობს: ა) რედუქლიკაცია: **შინ-შინ** > **შინში**; ბ) ნანათესაობითარი სახელობითი: ***შინ-ის** (შდრ. ხევს. **შინი-**

¹ საკითხი უნდა დაისვას არა **ჩ-ნში**, არამედ **შ-ს** წინ **ნ-ს** განვითარებაზე.

შინ < ***შინ-ის შინ** „თავთავიანთ სახლებში“) > ***შინ-ის-ი** > **შინს-ი** > **შინშ-ი** (შდრ. ხევს. ***შარ-ს** > **შარ-შ...**). კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ უფრო სარწმუნოდ მეორე გზა გვესახება, რომელშიც **სახლისი**-ს (მამა-სახლისი) ანალოგიური წარმოებით ჩანს წარმოქმნილი, შდრ. ზან. **ოხორასქილი/ოხორასქი** „მაზლი“, „მული“ (ზედმიწ. „სახლის შვილი“), დიდ. **ღუთუეს-ჟეკუ** „პატრონი, მფლობელი“ (ზედმიწ. „სახლის კაცი“). ამასთანავე, აქ გასათვალისწინებელია სულხან-საბა-სეული ფორმა **შნიში**, რომელიც არქეტიპად **შინიში** ფორმის დაშვებას გვაპირადებინებს. როგორც ჩანს, სალიტერატურო ქართულში მახვილი მეორე მარცვალს ეცემოდა, ხოლო სათანადო დიალექტებში – თავკიდურ მარცვალს, რამაც გამოიწვია უმახვილო ხმოვნის რედუქცია. ამგვარი გენეზისის დაშვებას მისი სემანტიკაც უჭერს მხარს. კომპოზიტი **ძმა-შინში** ფუნქციურ-სემანტიკურად **ძმა-ზიძა-შვილს** უთანაბრდება, რომელშიც ძმა და გარკვეული ვალდებულებების მქონე ყველა ახლონათესავი (უპირველეს ყოვლისა, ბიძაშვილები) მოიაზრება.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

მეგრულ-ლაზური ნათესაობის ლექსიკა

მეგრულ-ლაზური ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები ძირითადად საერთოქართველურ სისტემას მისდევს, მაგრამ გარკვეულ თავისებურებას მაინც გვიჩვენებს.

ლექსიკური სხვაობა მეგრულსა და ლაზურს შორისაც შეიმჩნევა.

მეგრულმა შემოინახა მამაკაცის ხაზით წინაპართა 6 მუხლის სახელი – 1. **მუმა** // **ზაზა**; 2. **ზაზუ** / **ზადი** / **ზადიდი** / **პაპული**; 3. **პაპუ**; 4. **ჯამა**; 5. **შამა**; 6. **იმპუ**. თითქმის იგივე ვითარებაა სვანურში – 1. **მუ**; 2. **ზაზა**; 3. **პაპა**; 4. **კაკა** // **ჯამა**; 5. **შამა**. ლაზურსა და ქართულში მხოლოდ სამი მუხლის სახელია შემორჩენილი – 1. **მამა**; 2. **პაპა** / **ზაზუა** / **პაპული**; 3. **პეპერა** / **პაპა**.

ზანურში, სვანურის მსგავსად, გარჩეული არ არის მამამთილი – სიმამრი, დედამთილი – სიდედრი ოპოზიცია, თუმცა ლაზურში მამამთილი აღინიშნება მარტივი **თირი / მთირი / მთირე** ფორმით, მეგრულში კი კომპოზიტიური წარმოების **მუამთილი** ფორმით არის წარმოდგენილი. დედამთილის აღმნიშვნელი **დამთიე / დამთერე / დამთირე / დანთირე / დიანთილი** მეგრულ-ლაზურში საერთოა. შდრ. ქართ. **მამამთილ-ი** : მეგრ. **მუანთილ-ი** : ლაზ. **მთ-ირ-ი** : სვან. **მი-მთ-ილ**.

ასევე უნიფიცირებულია მაზლისა და მულის აღმნიშვნელი სიტყვები. თუმცა გარკვეულ სხვაობას ლაზური გვიჩვენებს, მაგ. მეგრული **ოხორასკილი** „მაზლი, მული“ ლაზურში წარმოდგენილია **ოხრასკილი** „მაზლი“, **ოხრასურე** „მული“ ფორმებით. ზედმ. „სახლის ვაჟი“, „სახლის ასული“.

მხოლოდ ლაზურში გვხვდება არასისხლისმიერი ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვა **ნოქეთისა / ნოქეთერისა** „მამაკაცის ორი ცოლი ერთმანეთისათვის“. ფორმაში ჩანს ზანური **ნოქეთი / ნოქეთერი** „ნაცვალი“. მეორე ნაწილი **-ისა** შეიძლება იყოს **ნისა**-ს („რძალი“) ანლაუტში თანხმოვანდაკარგული ფორმა და სიტყვა გაგებულ იქნეს, როგორც „ნაცვალი რძალი“. მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ **-ისა** არის მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სუფიქსი ლაზურში და საილუსტრაციოდ მოჰყავს სხვა წყვილი: **ნოდამე** „სიმე“, **ნოდამ-ისა** „პატარძალი“.

ზანურში საინტერესოდ არის წარმოდგენილი არაქორწინებითი, შეძენილი ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა.

ნათლია მეგრულში გადმოიცემა **მორდია / მანათალი / მანათალი მორდია** ფორმებით. **მორდია** ჩანს მეჯვარის აღმნიშვნელ სინტაგმაში **მეგურგინე მორდია**. ნათლული არის **ნათილი / მონათილი**.

მორდუობის, ძიძიშვილობის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვები: **მორდუობა** გამზრდელის ინსტიტუტი, **ძიძემორდუობა** „ძიძამზრდულობა“, **ძიძესქუალობა**, **ძუძუშ მოშელეობა** „ძიძიშვილობა, ძუძუმტეობა“; **მორდუ** „გამზრდელი, მამამძუძე“, **ძიძე**, **ძუძუშ მარამალი** „ძიძა“; **ძიძესქუა** „ძიძიშვილი, ძუძუმტე“; **ძუძუშ მოშელე** „ძუძუმტე, ძუძუს მოზიარე“, **ძუძუშ ჯიმა** „ძუძუმტე ვაჟი“, **ძუძუშ და** „ძუძუმტე ქალი“, **ძუძუშ ნარდი** „გაზრდილი ძიძისთვის“.

დედაშვილობის შეფიცების დროს სრულდებოდა **ძუძუშა კი-ბირიშ გედგუმა**-ს რიტუალი, ზედმ. „ძუძუზე კბილის დადგმა“.

სამეგრელოში არაქორწინებითი ნათესაობის ფორმა იყო **ჩაფა / ჩაფილობა** და **მანგიორობა** – ვინმესთან დამოყვრება გარდაცვლილი ახლობლის სანაცვლოდ, რომელიც სრულდებოდა **თომაშ მიკოცოთამა**-ს „თმის ჩამოგდების“ რიტუალის შესრულების დროს. წლისთავზე გარდაცვლილის ახლობლის მიერ **ჩაფილად** არჩეული პირი თმას შეაჭრიდა მგლოვიარეს და იგი ამ დღიდან ითვლებოდა „**ჩაფილად**“, ე. ი. მოგებულად. ჩაფილის / მაგიერის გამომხატველია მეგრული კომპოზიციები: **მუმაჩაფილი / მუმაშ მანგიორი** „მამის მაგიერი“, **დიდაჩაფილი / დიდაშ მანგიორი** „დედის მაგიერი“, **დაჩაფილი / დაშ მანგიორი** „დის მაგიერი“, **ჯიმაჩაფილი / ჯიმაშ მანგიორი** „მმის მაგიერი“, **სქუაჩაფილი / სქუაშ მანგიორი** „შვილის მაგიერი“.

ლაზურში ძუძუმტის – დობილის, ძმობილის, აღმნიშვნელად გამოიყენება **დამოგაფერი / დამონგაფერი, ჯუმამოგაფერი / ჯუმამონგაფერი**. კომპოზიციების მეორე ნაწილი **მოგაფერი / მონგაფერი** ლაზურში „მოგებულს“, ასევე „მსგავსს“ აღნიშნავს. გარდა ამ სიტყვებისა, ძუძუმტეს ლაზურში აღნიშნავს **ხუმი ოკოშვერი, ხუმი ჩამერი / ხუმიოკოშკომერი / ხუმიოკოშუმერი**, ზედმ. „ძუძუნაჭამი“.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ზოგი სიტყვის სპეციფიკური გამოყენებისათვის ოფიციალურ-საქმიან სფეროში

ენაში ხშირია სიტყვათა ახლებური, სპეციფიკური შინაარსით გამოყენების ტენდენცია. ეს განსაკუთრებით ოფიციალურ-საქმიან სტილს ახასიათებს. ზოგჯერ ესა თუ ის სიტყვა იფართოებს მოხმარების სფეროს და საქმიან ურთიერთობაში განსხვავებულ, თავისებურ შინაარსს იძენს. მაგალითად, დღეს სიტყვა **ზმა** საკანცელარიო ენაში **კავშირის, ურთიერთკავშირის** მაგივრად გამოიყენება: „**ზმა** არ მაქვს ამ საკითხთან“; „არავითარი სამართლებრივი **ზმა** არ აქვთ“, „ზალკანიანის განცხადებით, მხარდამჭერ აქტში არის მინიშნება და **ზმა** „ტატუნაშვილ-ოთხოზორიას“ საკითხთან მიმართებაში“; „მე აქ ვარ არ ვარ და დაკარგული მაქვს **ზმა** რეალობასთან“; „დეპუტატი ამბობს, რომ ამ ორ საქმეს შორის ამ ეტაპზე არანაირი **ზმა** არ იკვეთება“.

როგორც ცნობილია, **ზმა** სპეციალური ტერმინია და ის „ქიმიურ ელემენტთა ურთიერთკავშირს // რაიმე სადენების დაკავშირებას აღნიშნავს“ (ქეგლი). საინტერესოა ისიც, რომ გარდა პოლიტიკურ-სამართლებრივი შინაარსისა, ზოგჯერ **ზმას** სხვა კონტექსტშიც იყენებენ როგორც პოლიტიკოსები, ისე მედიის წარმომადგენლები: „საქართველოსთან მაქვს ემოციური **ზმა**“; „ქალაქთან არ მაქვს შესაბამისი **ზმა**“; სოფლის მეურნეობა და ქართველი ადამიანის, ქართველი კაცის ქართულ მიწასთან **ზმა** არის სულ სხვა ემოციური სფერო“.

ჩანს, სიტყვა **ზმას** დასახელებულ კონტექსტებში მეტი ოფიციალური და საქმიანი ელფერი აქვს, ვიდრე **ურთიერთკავშირსა და კავშირს**.

სპეციფიკური გახდა **ეპიზოდის** გამოყენებაც. მისი მნიშვნელობაა „ცალკეული შემთხვევა, მომხდარი ამბავი, რაიმე მხატვრული ნაწარმოების ნაწყვეტი, სცენა, რომელსაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს“ (ქეგლი). ჩვენი დაკვირვებით, საქმიან სტილში სიტყვა **შემთხვევის** ნაცვლად უპირატესობას ანიჭებენ სწორედ **ეპიზოდის** გამოყენებას, ის **ნაწილის** მნიშვნელობითაც დასტურდება: „სასჯელი ბრალდების ამ **ეპიზოდში** განისაზღვრება შესაბამისი მუხლით“; „დანაშაულის შეუტყობინებლობის **ეპიზოდში** დევნის შეწყვეტას თავად პროკურატურა ითხოვს.“; „პოლიტიკური რეპრესიების პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე დრამატული **ეპიზოდი**ა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“.

უკნასკნელ ხანს როგორც ზეპირმეტყველებაში, ისე ოფიციალურ-საქმიან სტილში, განსაკუთრებით კი მედიაში, **წარმოდგენილი არის/იყო** მეშველი ზმნების ანალოგიით გააქტიურდა **წარმოდგენილი ვარ/ წარმოდგენილი ხარ** ფორმები: „ცოტა სხვანაირი ფორმატით **ვარ წარმოდგენილი** ამ თვეში“; „დავიწყე დარაჯად მუშაობა და დღეს თქვენ წინაშე **ვარ წარმოდგენილი** – უზენაესის მოსამართლეობის კანდიდატი“; ამ წვეულებაზე თქვენ წარმოდგენილი ხართ ქართველი დიზაინერის თანისამოსით“; „დღეს მე **წარმოდგენილი ვარ** უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლის სტატუსით“; „ამიტომ დღეს პარტიის სახელით **ვარ წარმოდგენილი** სასამართლოზე“; „ლონისძიებაზე **წარმოდგენილი ვართ** ქართული კერძებით“; „გამოფენაზე წარმოდგენილი ვარ ტორსების სერიით“; „დღეს რითი **ხართ წარმოდგენილი?**“

ქართულში ბუნებრივი და ტრადიციულია ზმნა შემდეგი ფორმით – **წარმოდგენილი არის**. აღსანიშნავია, რომ ის არ გამოიყენება პირველ პირში, ზოგადად იხმარება მესამე პირთან მიმართებით: „ის **წარმოდგენილია** შედარებით სრულსა და დამთავრებულ ნუსხებში“; „დისკუსიის დროს ერთი მხარის ყველა არგუმენტები ყოველთვის **წარმოდგენილია** შეძლებისდაგვარად მიმზიდველად, ხოლო მეორე მხარის არგუმენტების წარმოჩენასაც კი თითქმის ყოველთვის უშლიან ხელს“; „გარკვეული ჯგუფების მიერ საქართველოს უმცირესობებად **წარმოდგენილია**, ერთი მხრივ, მიგრანტები, მეორე მხრივ კი – ავტოქთონი ქართველები“. ასევე ბუნებრივია **წარმოდგენილი მაქვს/გვაქვს, წარმოდგენილი გაქვს/გაქვთ, წარმოდგენილი მქონდა/გვქონდა/გქონდა/გქონდათ** ფორმები, მაგრამ ხელოვნურია პირველსა და მეორე პირში მისი **წარმოდგენილი ვარ/წარმოდგენილი ხარ** სახით წარმოება.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

სინონიმები სვანურში

სინონიმებად მიიჩნევენ ორ (ან რამდენიმე) სიტყვას, რომლებიც ერთ ცნებას გამოხატავენ.

სინონიმის წარმოქმნა დაკავშირებულია შესაბამისი ენობრივი კოლექტივის ცხოვრებასთან: ესაა საზოგადოების კონსოლიდაცია – ერთი ხალხის სხვადასხვა ტომის შერწყმა ერთ ენობრივ კოლექტივად, კონტაქტები სხვადასხვა ხალხებთან, სათანადო ენობრივი კოლექტივის საქმიანობაში თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები (ბ. ფოჩხუა).

სვანური ისევე , როგორც ქართული,მდიდარია სინონიმებით; აქ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ჯგუფი:

ა) ორივე სიტყვა სვანურია: **ზუგუტ // სუტიკუტ** „ბორცვი“, **ლ დიარ // დადაშა // ნან გ** „დედუღეთი“, **ჰამ // ძინარ** „დილა“, **ფიფა // მანჩალ** „აჩრდილი“, **მეკდე // მეხ ტე** „გაოხრებული“...

ბ) ერთი სიტყვა სვანურია, მეორე – ქართულიდან შესული:

ბალიშ // **უთოილ** „ბალიში“, **ჰაკუნ** // **ჰენწ** „აკვანი“...

გ) ერთი სიტყვა სვანურია, მეორე – მეგრულიდან შესული:

ხოჩაგემწ // **გამუნ** „გემრიელი“, **ქილ** // **ჩქუა** „ემვი“, **ლყმე** // **ლუშგუდე** „დამხვრჩალი“

დ) ორივე სიტყვა ნასესხებია:

გარჯ // **ჭირ** „გარჯა“, **დარჯ** // **ყარუილ** „დარაჯი“, **აგარაკი** // **დაჩა** „აგარაკი“.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ოტია იოსელიანის სტილის ერთი

თავისებურების შესახებ

ვამბობთ: „ნაწარმოები დაწერილია მესამე პირში“, ან „ნაწარმოები დაწერილია პირველ პირში“.

„მესამე პირში დაწერილიაო“ ვამბობთ იმ შემთხვევაში, როცა მწერალი (ჯობია ვთქვათ – მთხრობელი) თხრობს ამბავს, მაგრამ არ ჩანს თვითონ, იგი ნაწარმოებში წარმოდგენილი სამოქმედო სივრცის მიღმაა...

„პირველ პირში დაწერილიაო“ ვამბობთ იმ შემთხვევაში, როცა მთხრობელი მოქმედ პირთა სამოქმედო სივრცეშია და მონაწილეობს მოქმედებაში... მთხრობელი ამგვარ შემთხვევაში არის პერსონაჟი. სხვა მოქმედი პირები – მეორე და მესამე პირები არიან...

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ოტია იოსელიანის ადრეულმა ნოველამ „მეწისქვილის ქალიშვილი“. სტილური თვალსაზრისით საინტერესო შემთხვევაა:

ნოველა იწყება „ჩვეულებრივ მესამე პირში“. ბეკო – მთავარი პერსონაჟი, მესამე პირია:

„წვიმს. ყოველთვის ახსოვს ეს ბეკოს. (...) ამით დაიწყო ბეკო და ამით დამთავრდა“...

თხრობაში ბეკო ბუნებრივად გადაიქცევა მეორე პირად:
„წვიმს.

წვიმს კი არა, მალე ჩამოთოვს კიდეც.

გახსოვს, ბეკო?

გახსოვს, აბა რა დაგავიწყებს.“ – და ასე გრძელდება 20-გვერ-
დიან ნოველაში: მთხრობელი (პირველი პირი) მხოლოდ თხრობს
ბეკოს (მეორე პირის) ამბავს. და ეს მეორე პირი პირველ პირს არ ესა-
უბრება, არ სცემს პასუხს. ბეკო– მეორე პირია („შენ“) ბოლომდე...

ცხადია, რომ ეს არ არის მესამე პირში დაწერილი ნაწარმოებ;
ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს არის პირველ პირში დაწერილი ნაწარ-
მოები, რადგან მთხრობელი (რეალურად პირველი პირი) არ არის
მოქმედი პირი; ნოველაში „მე“ არ ჩანს...

ალბათ, პირობითად ასეთ ნაწარმოებს უნდა ეწოდოს „მეორე
პირში დაწერილი“: მთხრობელი სამოქმედო სივრცეშია, მიმართავს
მეორე პირს, ხოლო მეორე პირი კონტაქტობს სხვა პირებთან
(მთხრობელისათვის მესამე პირებთან) და არა პირველ პირთან...

„მეწიქვილის ქალიშვილი“ სამოქმედო სივრცეში პირთა ურ-
თიერთმართებისა და აქტიურობის თვალსაზრისით ორიგინალუ-
რი ნაწარმოებია... ცალკე თემაა, რას მატებს სათქმელს ეს სტილი...

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

პრეპოზიციურ-პოსტპოზიციური ატრიბუტული

მსაზღვრელები ერთ საზღვრულთან

(ნორმის პროექტისათვის)

არცთუ იშვიათად ახალ ქართულში (ძირითადად – პოეზიის
ენაში) ერთ საზღვრულთან დასტურდება ორი ატრიბუტული მსა-
ზღვრელი, რომელთაგან ერთი პრეპოზიციურია, მეორე – პოსტპოზი-
ციური. ასეთ შემთხვევებში – მსაზღვრელთა ფუძის გათვალისწინე-
ბით (მაშასადამე, ფუძეთანხმობიანნი არიან ისინი თუ ფუძეხმობი-
ანნი) – გამოიყოფა მსაზღვრელ-საზღვრულთა ბრუნების ოთხი ტიპი:

ა) ორივე მსაზღვრელი (პრეპოზიციურიცა და პოსტპოზიციურიც) ფუძემოვნიანია: **მოდუდუნე** მტკვარი **ანკარა**...

ბ) ფუძეთანხმოვნიანია როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური მსაზღვრელი: **მაცდური** სული **ბოროტი**...

გ) პრეპოზიციური მსაზღვრელი ფუძეთანხმოვნიანია, ხოლო პოსტპოზიციური – ფუძემოვნიანი: **ვრცელი** მინდორი **მწვანე**...

დ) ფუძემოვნიანია პრეპოზიციური მსაზღვრელი, პოსტპოზიციური კი – ფუძეთანხმოვნიანი: **უენო** კაცი **საწყალი**...

● თუ საზღვრული მოქცეულია ორ ატრიბუტულ ფუძემოვნიან მსაზღვრელს შორის, პრეპოზიციური მსაზღვრელი მას ფუძის სახით შეეწყობა, ხოლო პოსტპოზიციური ყველა ბრუნვაში დაირთავს შესაბამის ნიშნებს:

სახ.	მოდუდუნე მტკვარ-ი ანკარა
მოთხრ.	მოდუდუნე მტკვარ-მა ანკარა-მ
მიც.	მოდუდუნე მტკვარ-ს ანკარა-ს
ნათ.	მოდუდუნე მტკვარ-ის ანკარა-ის
მოქმ.	მოდუდუნე მტკვარ-ით ანკარა-ით
ვით.	მოდუდუნე მტკვარ-ად ანკარა-ად
წოდ.	მოდუდუნე მტკვარ-ო ანკარა-ვ

● როცა ორივე ატრიბუტული მსაზღვრელი ფუძეთანხმოვნიანია, პრეპოზიციური მსაზღვრელი საზღვრულს სრულად ეთანხმება სამ ბრუნვაში – სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში მას ჩამოსცილდება ბრუნვის ნიშნები, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში შეინარჩუნებს ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტს. რაც შეეხება პოსტპოზიციურ მსაზღვრელს, ის ყველა ბრუნვაში შეუთანხმდება თავის საზღვრულს:

სახ.	მაცდურ-ი სულ-ი ბოროტ-ი
მოთხრ.	მაცდურ-მა სულ-მა ბოროტ-მა
მიც.	მაცდურ სულ-ს ბოროტ-ს
ნათ.	მაცდურ-ი სულ-ის ბოროტ-ის
მოქმ.	მაცდურ-ი სულ-ით ბოროტ-ით
ვით.	მაცდურ სულ-ად ბოროტ-ად
წოდ.	მაცდურ-ო სულ-ო ბოროტ-ო

- თუ პრეპოზიციური მსაზღვრელი ფუძეთანხმოვნია, ხოლო პოსტპოზიციური – ფუძეხმოვნია, შესიტყვების პირველი წევრი (პრეპოზიციური მსაზღვრელი) ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში; მიცემითსა და ვითარებითში ის ფუძის სახით შეეწყობა საზღვრულს, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩამოსცილდება ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი; პოსტპოზიციური მსაზღვრელი კი თავის საზღვრულს შეუთანხმდება ყველა ბრუნვაში:

სახ.	ვრცელ-ი მინდორ-ი მწვანე
მოთხრ.	ვრცელ-მა მინდორ-მა მწვანე-მ
მიც.	ვრცელ მინდორ-ს მწვანე-ს
ნათ.	ვრცელ-ი მინდვრ-ის მწვან-ის
მოქმ.	ვრცელ-ი მინდვრ-ით მწვან-ით
ვით.	ვრცელ მინდვრ-ად მწვანე-დ
წოდ.	ვრცელ-ო მინდორ-ო მწვანე-ვ

- როცა ფუძეხმოვნია პრეპოზიციური მსაზღვრელი, ის ფუძის სახით წარმოდგება ყველა ბრუნვაში, ხოლო შესიტყვების უკანასკნელი წევრი (პოსტპოზიციური მსაზღვრელი) შვიდივე ბრუნვაში გაფორმდება შესაბამისი ნიშნებით:

სახ.	უენო კაც-ი საწყალ-ი
მოთხრ.	უენო კაც-მა საწყალ-მა
მიც.	უენო კაც-ს საწყალ-ს
ნათ.	უენო კაც-ის საწყალ-ის
მოქმ.	უენო კაც-ით საწყალ-ით
ვით.	უენო კაც-ად საწყალ-ად
წოდ.	უენო კაც-ო საწყალ-ო

- მრავლობით რიცხვში დასმულ საზღვრულს, რომელიც სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის წარმოდგენილი, პოსტპოზიციური მსაზღვრელი რიცხვშიც ეთანხმება (ქართველ-ი ქალებ-ი ლამაზ-ებ-ი; პატარა ჩიტ-ებ-ი ჭრელ-ებ-ი...), უსულო სახელით გამოხატულ მრავლობითრიცხვისფორმიან საზღვრულთან კი ინვერსიული მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებულიც (მოლურჯო მთ-ებ-ი მაღლ-ებ-ი) და შეუთანხმებელიც (მოლურჯო მთ-ებ-ი მაღალ-ი...).

სახ.	ქართველ-ი ქალ-ებ-ი ლამაზ-ებ-ი
მოთხრ.	ქართველ-მა ქალ-ებ-მა ლამაზ-ებ-მა
მიც.	ქართველ ქალ-ებ-ს ლამაზ-ებ-ს
ნათ.	ქართველ-ი ქალ-ებ-ის ლამაზ-ებ-ის
მოქმ.	ქართველ-ი ქალ-ებ-ით ლამაზ-ებ-ით
ვით.	ქართველ ქალ-ებ-ად ლამაზ-ებ-ად
წოდ.	ქართველ-ო ქალ-ებ-ო ლამაზ-ებ-ო

სახ.	პატარა ჩიტ-ებ-ი ჭრელ-ებ-ი
მოთხრ.	პატარა ჩიტ-ებ-მა ჭრელ-ებ-მა
მიც.	პატარა ჩიტ-ებ-ს ჭრელ-ებ-ს
ნათ.	პატარა ჩიტ-ებ-ის ჭრელ-ებ-ის
მოქმ.	პატარა ჩიტ-ებ-ით ჭრელ-ებ-ით
ვით.	პატარა ჩიტ-ებ-ად ჭრელ-ებ-ად
წოდ.	პატარა ჩიტ-ებ-ო ჭრელ-ებ-ო

სახ.	მოლურჯო მთ-ებ-ი მადლ-ებ-ი/მადალ-ი
მოთხრ.	მოლურჯო მთ-ებ-მა მადლ-ებ-მა/მადალ-მა
მიც.	მოლურჯო მთ-ებ-ს მადლ-ებ-ს/მადალ-ს
ნათ.	მოლურჯო მთ-ებ-ის მადლ-ებ-ის/მადლ-ის
მოქმ.	მოლურჯო მთ-ებ-ით მადლ-ებ-ით/მადლ-ით
ვით.	მოლურჯო მთ-ებ-ად მადლ-ებ-ად/მადლ-ად
წოდ.	მოლურჯო მთ-ებ-ო მადლ-ებ-ო/მადალ-ო

● ინვერსიული მსაზღვრელი შესაძლებელია მძიმითაც გამოეყოს თავის საზღვრულს (ვრცელი მიწოდორი, **მწვანე**, მოლურჯო მთები, **მადლები**...), რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიაზრებს მწერალი შესიტყვების უკანასკნელ წევრს, პოსტპოზიციურ მსაზღვრელს – პაუზით თუ უპაუზოდ. ზოგჯერ (იმავე მიზეზით) განკერძოებულია პრეპოზიციური მსაზღვრელიც („განვედი ჩემგან, ჰოი, **მაცდურო**, სულს ბოროტო“).

არის თუ არა გურულში განსაზღვრებითი ნაწევარი?

სერგი ჟღენტმა 1936 წელს ქართული ენის გურული დიალექტისადმი მიძღვნილ ნაშრომში აღნიშნა, რომ გურულში „მსგავსად ძველი ქართულისა იხმარება განსაზღვრებითი ნაწილაკი: იგი//იი; მაგ.: „საშიშრათ მეიქვა იგი კაცი“. ამ ფრაზაში იგი განსაზღვრებითია. იგულისხმება, რომ ზემოთ ლაპარაკი იყო გარკვეულ პირზე, რომელსაც ამ შემთხვევაში „იგი“ სცვლის. ასეთსავე მოვლენას ადგილი აქვს შემდეგ შემთხვევებში: „იგი ისარი ჩავარდა გლეხის ეზოში“; „იი (იგი) ანგელოზი გამოეცხადა“ (ჟღენტი 1936: 68).

20 წლის შემდეგ ამ საკითხს საგანგებო სტატია მიუძღვნა პოლიკარპე ჯაჯანიძემ, რომლის თანახმადაც „გურიის ყველა კუთხეში საზოგადო სახელი მეტწილად ნაწევრით იხმარება... გურულის ნაწევრები ძველი ქართულის ნაწევრების სულ იდენტური არაა, მაგრამ გადმონაშთის სახით ამ დიალექტში ნაწევრების არსებობა უდავო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ... გურულში ორი განსაზღვრული ნაწევარი გვაქვს: ეგი-აგი და იგი... გურულ მეტყველებაზე ხანგრძლივი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეგი-აგი, იგი ნაწევრიანი სახელები ყოველთვის განსაზღვრულია და უპირისპირდება ამ მხრივ განუსაზღვრელობის ერთით (ან უიმისოდ) ნახმარ სახელს: მეწისქვილეს ყავდა ერთი ბიჭი..., **ეგი ბიჭი** მიდის გზაზე და ვოცნებობს... (ასკანა); ერსალიგას თათრეფს ოუშენებიენ ციხე/ი... გურიელს დჟაკავებია **აი ციხე/ი** (გომი); ერთ ბზისუნახავს ბრმაჟ ქმარი უშონია... **აი ბზისუნახავი** ისთე ჩათვალენ, ვითამ მოკტენოდენ (ჟღ., 128)... ნაწევრები გადმონაშთის სახით ქვემოაჭარულშიცაა შემონახული...“, ოღონდ აქ მათი „ხმარების არე გაცილებით უფრო ვიწრო ჩანს, ვიდრე გურულში“ (ჯაჯანიძე 1958).

მკვლევართა მიერ დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, რომ „განსაზღვრებით ნაწილაკად“//„განსაზღვრულ ნაწევრად“ ისინი ანაფორულად გამოყენებულ ატრიბუტულ ჩვენებით ნაცვალსახელებს განიხილავენ. მაგრამ არის კი ანაფორული გამოყენება საკმარისი საიმისოდ, რათა ატრიბუტული ჩვენებითი ნაცვალსახელი განსაზღვრებით ნაწევრად იქნეს მიჩნეული?

„ენობრივ სტრუქტურათა მსოფლიო ატლასის“ ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ წერილში „განსაზღვრებითი ნაწევრები“ მ. ს. დრაიერი „ენად, რომელიც ჩვენებით ნაცვალსახელს იყენებს განსაზღვრებითი ნაწევრის ფუნქციით“, თვლის იმ ენას, რომელიც „ჩვენებით ნაცვალსახელებს ანაფორულად ინგლისურზე უფრო ხშირად იყენებს“. ამასთან, დრაიერის მიხედვით, ამგვარ ენათა უმრავლესობა „ჩვენებით ნაცვალსახელს ანაფორულად იყენებს გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე ინგლისური“ (დრაიერი 2013). ამასვე იმეორებს ის სხვაგანაც: „თუკი ერთ-ერთი ჩვენებითი ნაცვალსახელი (თითქმის ყოველთვის შორსჩვენებითი) ფართოდ გამოიყენება ანაფორულად, მე მას განვიხილავ როგორც განსაზღვრებით ნაწევარს“ (დრაიერი 2014: e235).

მაგრამ, როგორც ნ. ჰიმელმანი აღნიშნავს, „მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელი ან რიცხვითი სახელი უფრო ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ ენასა თუ ისტორიულ პერიოდში, აუცილებლად არ მოწმობს იმას, რომ ეს ელემენტი უკვე გრამატიზებულია ნაწევრად. საიმისოდ, რათა ეს ასე იქნეს მიჩნეული, აუცილებელია იმის ჩვენება, რომ საერთო ტექსტური სიხშირის ზრდა კორელირებს არსებით ცვლილებებთან გრამატიზაციის პროცესში მყოფი (grammaticising) ელემენტის სემანტიკასა და პრაგმატიკაში“ (ჰიმელმანი 2001: 833). „ჩვენებითი ნაცვალსახელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ხშირად გამოიყენება ანაფორულ... კონტექსტში, მაინც ჩვენებით ნაცვალსახელად რჩება. განსაზღვრებითი ნაწევრის გენეზისისათვის გადაწყვეტია ის, რომ ადგილი აქვს მისი გამოყენების კონტექსტთა ხარისხობრივ განვრცობას, რომ მოცემული ელემენტი არა მარტო პრაგმატიკული განსაზღვრულობის, არამედ სემანტიკური განსაზღვრულობის კონტექსტებშიც გამოიყენება“ (ჰიმელმანი 1997: 94).

განსაზღვრულობის ამ ორი – სემანტიკური და პრაგმატიკული – ტიპის გამიჯვნა გერმანელი ენათმეცნიერის ს. ლიობნერის სახელს უკავშირდება. ლიობნერის თანახმად, „სემანტიკური განსაზღვრულობის“ შემთხვევებში განსაზღვრული სახელის (სიტყვათშეხამების) რეფერენტი უშუალო სიტუაციისა ან გამონათქვამის კონტექსტისაგან დამოუკიდებლად დგინდება, „პრაგმატიკულად განსაზღვრული“ სახელის (სიტყვათშეხამების) რეფერენტის ერთმნიშვნელოვნების (არაორაზროვნების, non-ambiguity) დადგენა კი კონკრე-

ტულ სიტუაციებსა და კონტექსტებში ხორციელდება (ლიობნერი 1985: 298-311). „სემანტიკური განსაზღვრულობა არ არის დამოკიდებული კონკრეტული გამონათქვამის სიტუაციაზე და მხოლოდ გამოხატული ცნების თავისებურებით არის განპირობებული... პრაგმატიკული განსაზღვრულობა კი კონკრეტული გამონათქვამის კონტექსტს ეფუძნება“ (ჰიმელმანი 1997: 38). „სემანტიკური ერთადერთობა (უნიკალურობა, uniqueness) გულისხმობს, რომ რეფერენცია ცალსახაა (unambiguous) კონტექსტისაგან დამოუკიდებლად და არსებითი სახელის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხოლო პრაგმატიკული ერთადერთობა განპირობებულია (ლინგვისტური ან ექსტრა-ლინგვისტური) კონტექსტით“ (ორტმანი 2014: 294).

პრაგმატიკული განსაზღვრულობისად ითვლება პირველ რიგში შემდეგი კონტექსტები: ა) დეიქტური (მითითებითი), ბ) ანაფორული და გ) კატაფორული (როცა დისკურსში პირველად ნახსენები სახელის რეფერენტი ერთმნიშვნელოვნად დგინდება (განსაზღვრებითი...) დამოკიდებული წინადადების მეშვეობით, მაგ.: What’s wrong with Bill? – Oh, **the woman** he went out with last night was nasty to him; **The book** I bought yesterday is under discussion for the Nobel Prize), **სემანტიკური განსაზღვრულობისად** – დ) ასოციაციურ-ანაფორული კონტექსტები (როცა დისკურსში პირველად ნახსენები სახელის რეფერენტი ანტეცედენტის რეფერენტთან რაიმე სახის მმართველობაშია, მაგ.: Fred discussed a book in his class yesterday. He knows **the author**; They’ve just got in from New York. **The plane** was five hours late), ე) კონტექსტები, სადაც სახელი განსაზღვრულია სემანტიკურად გამაერთმნიშვნელოვნებელი (disambiguating, vereindeutigende) მართული (the beginning of the war) ან ატრიბუტული მსაზღვრელით (ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის ფორმით – the fastest person to sail to America, das beste Fahrrad, რაოდენობითი რიცხვითი სახელით ან სიტყვებით *სხვა, ბოლო, მხოლოდ, იგივე* და მისთ. – the {next/last/third/most successful} president of the association, das dritte/nächste/letzte Bier), ვ) აბსტრაქტულ-სიტუაციური გამოყენება (larger situation use) და ერთადერთობა (უნიკალურობა), როცა ნაწევარდართული სახელის რეფერენტი ერთადერთია (უნიკალურია) ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისათვის (ქვეყნისათვის, ქალაქისათვის, სამეზობლოსათვის, ოჯახისათვის, უნივერსიტეტისათვის,

ფირმისათვის და ა. შ.) – მაგ., the sun, the Queen, the Prime Minister, მაგრამ ასევე the pub იმ აზრით, რომ ლაპარაკია „ლუდხანაზე, რომელშიც ჩვენ მუდამ დავდივართ“, die Bahnhof, როცა საქმე ეხება ერთადერთ რკინიგზის სადგურს დასახლებულ პუნქტში და მისთ.), ზ) გვარეობითი (generic) გამოყენება (როცა სახელი მიემართება არა კონკრეტულ რეფერენტს, არამედ რეფერენტთა კლასს, ცალკე აღებული, მაგ., The dolphin is a mammal) და ზოგი სხვაც (მაგალითები აღებულია ჰოკინზის (1978), ლიობნერის (1985, 2015), ლაიონზის (1999), ჰიმელმანის (1997), კიონიგისა (2018) და ჩარდიბონის (2017) ნაშრომებიდან).

ნაწევრისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირითად განმასხვავებელ ნიშნად მიიჩნევა სწორედ ის, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელები „შიეიდლება შეგვხვდეს მხოლოდ პირველი ორი [დეიქტური (ჰოკინზის ტერმინოლოგიით, „ხილულ-სიტუაციური“) და ანაფორული – ლ. კ.], და არც ერთი სხვა ფუნქციით“ (ჰოკინზი 1978: 111, 149-157). „პრაგმატიკული განსაზღვრულობის (ერთმნიშვნელოვნების, უნიკალურობის, ერთადერთობის, Eindeutigkeit, uniqueness) შემთხვევებში განსაზღვრებითი ნაწევრის ნაცვლად შესაძლოა ჩვენებითი ნაცვალსახელის გამოყენებაც. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევებში ნაწევარს ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს. სემანტიკური განსაზღვრულობისას კი ეს შეუძლებელია... აქ მხოლოდ განსაზღვრებითი ნაწევარია შესაძლებელი“ (ლიობნერი 2015: 90-91). ეგვეა ხაზგასმული ნ. ჰიმელმანთანაც: „ჰოკინზისა და ლიობნერის კვლად შიეიდლება დავასკვნათ, რომ სემანტიკური განსაზღვრულობის კონტექსტებში გამოყენება განხილულ უნდა იქნეს როგორც გადამწყვეტი განსაზღვრებითი ნაწევრისათვის... ამგვარად, ხელთ გვაქვს კრიტერიუმი განსაზღვრებითი ნაწევრისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის განსასხვავებლად. ჩვენებითი ნაცვალსახელი შიეიდლება მხოლოდ პრაგმატიკული განსაზღვრულობის კონტექსტებში შეგვხვდეს, ხოლო განსაზღვრებითი ნაწევრისათვის გადამწყვეტია გამოყენება სემანტიკური განსაზღვრულობის კონტექსტებში. იმის გასარკვევად, რომელიმე განსაზღვრებითი ელემენტი განსაზღვრებით ნაწევრად უნდა მიიჩნეს თუ არა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასოციაციურ-ანაფორული და აბსტრაქტული სიტუაციის კონტექსტები“ (ჰიმელმანი 1997: 41-42); „აბსტრაქტულ-სიტუაციური

გამოყენება (larger situation use) – ესაა პირველი ხსენება ერთეულები-სა, რომლებიც მოცემულ ენობრივ კოლექტივში უნიკალურად (ერთადერთად) და, ამდენად, იდენტიფიცირებადად (identifiable) მიიჩნევა. ამ გამოყენებისათვის დამახასიათებელია ის, რომ რეფერენტის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს ზოგადი ცოდნის საფუძველზე (მაგ., the sun, the Queen, the pub). მეორეა ასოციაციურ-ანაფორული გამოყენება – პირველი ხსენება ერთეულისა, რომელიც უნიკალურია არა თავისთავად, არამედ ადრე ხსენებულ რეფერენტთან მიმართებაში, როგორც, მაგ: (6) The man drove past our house in a car. **The exhaust fumes** were terrible... ჩვენებითი ნაცვალსახელები ამ ორ კონტექსტში არ იხმარება. (6)-ში შეუძლებელია the exhaust fumes-ში the-ს შეცვლა ან these-ით, ან those-ით. ასევე, შეუძლებელია ითქვას Her face was burnt by this sun, თუ sun მოცემულ საუბარში პირველად იხსენიება“ (ჰიმელმანი 2001: 833-834). ეს თვალსაზრისი გაზიარებულია ნაწევრებისადმი მიძღვნილ (ჩვენთვის ცნობილ) უკანასკნელ განმაზოგადებელ ნაშრომშიც (ბეკერი 2021: 108-118).

თუკი გურულ – და ქართული ენის ნებისმიერ სხვა – დიალექტზე ჩაწერილ ტექსტებს აღნიშნული კრიტერიუმით აღჭურვილნი გადავიკითხავთ, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელები ამ ტექსტებში არსად გვხვდება სემანტიკური განსაზღვრულობის ზემოთ მითითებულ კონტექსტებში, და თვით ანაფორულ კონტექსტებშიც კი ისინი მხოლოდ ფაკულტატიურად ვლინდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც გურულს და არც ქართულის რომელსამე სხვა დიალექტს განსაზღვრებითი ნაწევარი არ მოეპოვება. ასეთივეა ვითარება ზანურსა და სვანურშიც.

რაც შეეხება ძველი ქართულის ნაწევარს, ეს საკითხი აქ წარმოდგენილი თვალსაზრისით განხილული აქვთ ვ. ბოედერს, ა. ორტმანსა და თ. კილურაძეს. ბოედერის დასკვნით, „ნაწევარი ქართულში, მკაცრად თუ განვსჯით, ვერ აკმაყოფილებს (პროტოტიპული) განსაზღვრებითი ნაწევრის კრიტერიუმებს“ (2009: 143). გერმანელი სწავლული აღნიშნავს: „თუ სემანტიკური გამოყენების შესაძლებლობას მივიჩნევთ ნაწევრობის კრიტერიუმად (ჰიმელმანი 1997: 41), მაშინ – რამდენადაც ჩვენებითი ნაცვალსახელი, ისევე როგორც ნაწევარი, ვლინდება პრაგმატიკულ კონტექსტებში, მაგრამ – მხოლოდ ამ კონტექსტებში, და რამდენადაც, შესაბამისად, ნაწევრის სემანტიკური გამოყენება წარმოადგენს ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან ნაწევრის განმასხვა-

ვებელ ნიშანს (*differentia specifica*) – ძველი ქართული ენის „ნაწევარი“ არც არის ნაწევარი მკაცრი გაგებით, არამედ ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმალური და ფუნქციური ვარიანტი...“¹ (იქვე: 148-149).

¹ ის, რომ „ქართული თანაბრად იგუებს ერთი და იმავე აზრის გადმოსაცემად როგორც ნაწევარს, ისე ჩვენებით ნაცვალსახელს, რაც თავის მხრივ მათ დიდ სიახლოვეზე მიუთითებს“ და რომ „ჩვენებითი ნაცვალსახელი და ნაწევარი ძველ ქართულ ცოცხალ მეტყველებაში მკვეთრად გამოიხსნებიან არ უნდა ყოფილიყო, რაც თავს იჩენს სალიტერატურო ენაშიაც“, აღნიშნული ჰქონდა **დ. ზარამიძესაც** (1975: 18, 20). მისივე დაკვირვებით, „ძველ ქართულში ნაწევრის ხმარება არ არის სისტემატური, ე. ი. ნაწევარი არ გვხვდება ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში“ (იქვე: 20-21). არაერთი მაგალითი, სადაც ძველ ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელები მოსტოპოზიციურად არის ნახმარი, მაგრამ აშკარად ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუნქციას ასრულებენ და არა ნაწევრისას, გამოავლინა **არ. მარტიროსოვმაც** (1979: 129-130). ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების შესწავლამ მკვლევარს საშუალება მისცა, დაესკვნა: „ძვ. ქართულში დაცული არ არის ნაწევრის თანმიმდევრულად განვითარებული ერთიანი სისტემა. მისი აუცილებელი ხმარება-უხმარებლობის პრინციპი შეზღუდულია, ზოგჯერ – დარღვეულიც, რაც ჩვეულებრივ შეუწყნარებელია ამ კატეგორიის მქონე ისეთი ენებისათვის, როგორცაა, მაგალითად, გერმანული, ფრანგული, ბერძნული, სომხური და სხვ. ერთნაირად მტკიცედ არ არის განსაზღვრული შესიტყვებაში ნაწევრის ხმარების ადგილი. მართალია, იგი ჩვეულებრივ სახელის შემდეგაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი პრეპოზიციულად ხმარების შემთხვევებიც გვხვდება... ქართულ-სომხური ტექსტები რომ ერთმანეთს შევადაროთ, აშკარა გახდება, რომ გაცილებით მეტი შემთხვევა გვაქვს ძველ სომხურში ნაწევრის გამოვლენისა, ვიდრე ძველ ქართულში, რომ ნაწევარი ძვ. სომხურში და აგრეთვე ძვ. ბერძნულში უფრო რეგულარულად იხმარება, ვიდრე ძვ. ქართულში. ბერძნულსა და სომხურში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაწევარი გამატირებელია, იხმარება მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელია, ძვ. ქართულში კი ასეთი მონოლითურობა არ იგრძნობა... არის... შემთხვევები, როცა განსაზღვრული ნაწევარი არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ გვაქვს. გვხვდება მთლად შეუსაბამო მაგალითებიც, როცა კონტექსტში პირველად ნახსენები სახელი განსაზღვრულ ნაწევარს მიიღებს, მეორედ დამოწმებულ ამავე სახელს კი იგი არ ერთვის... საინტერესო ცნობებს გვაწვდის ძველი ქართული ენის მთელი რიგი ძეგლები, რომელთაც სხვადასხვა რედაქცია მოეპოვებათ. როცა ჩვენ ამ რედაქციებს ერთმანეთს ვუდარებთ, აშკარად ჩანს, რომ ერთსა და იმავე პირობებში, ხშირად ერთსა და იმავე კონტექსტშიც, თუ ერთი რედაქცია ნაწევარს იყენებს, მეორე მას გაურბის... ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით ჩანს, რომ სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია ძვ. ქართულში ერთიანი და მტკიცედ შემუშავებული სისტემა არაა. ნაწევრის ხმარება-უხმარებლობის ნორმა დარღვეულია. არაერთნაირი სურათი გვაქვს შესიტყვებაში მისი პოზიციის თვალსაზრისითაც. და ეს ყველაფერი არა რომელიმე ერთი ძეგლის ან ერთი ძეგლის რომელიმე რედაქციის თავისებურებაა, არამედ საერთო მოვლენა“ (იქვე: 131-136). მკვლევარი დასძენს, რომ „უკვე XII-XIII საუკუნეებიდან მოკიდებული მსაზღვრელი ნაწევარი თანდათანობით ძალას კარგავს და გამოდის ხმარებიდან“ და თუ ის მომდევნო საუკუნეების ძეგლებში გვხვდება, „უფრო მეტად არქაიზაციის ტენდენციის გამოვლენის შედეგია“ და მის „ხმარებას ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სტილისტური

ა. ორტმანისა და თ. კილურაძის მიხედვით კი, ადრეულ ძველ ქართულში ნაწევარი „სისტემურად“ ვლინდება „პრაგმატიკული (განსაკუთრებით, ანაფორული) განსაზღვრულობის კონტექსტებში“ და „ძალზე იშვიათად – სემანტიკური განსაზღვრულობის კონტექსტებში“, თუმცა „ანაფორული განსაზღვრულობაც კი ყველა შემთხვევაში არ აღინიშნება“ (იხ., მაგ.: „ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა, ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად. ხოლო **კაცმან** უთხრა მართალი“ (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, 2); „მაშინ ბრძანა **მეფემან** გამოსხმად პალატისაგან ძისა თვისისა ყოველთა მსახურთა მისთაჲ“ (სიბრძნე ბალაჰვარისი, 49), გვიანდელ ძველ ქართულში კი ნაწევრის გამოყენების სფერო რელიგიური შინაარსის ნათარგმნ ტექსტებში ფართოდება „იმგვარად, რომ ფარავს სემანტიკური განსაზღვრულობის კონტექსტებსაც: „**გზასა მას** ჭკუმარიტსა ერთღმრთეებისასა“ (სიმცნე და მოლუაწებაჲ წმიდისა მოწამისა ლუკიანოზისი), „განდევნა **სიბნელე იგი** სულთა მორწმუნეთაჲ“ (იქვე), „და გამოიკითხა მათგან ჟამი იგი გამოჩინებულისა **მის ვარსკულავისაჲ**“ (მ. 2,7), მაშინ როცა „ორიგინალურ ტექსტებში სემანტიკური განსაზღვრულობის აღნიშვნა არ ხდება: „ოდეს **ზაბილონს გოდოლი** აღაშენეს“ (ორტმანი, კილურაძე 2008: 2-3). მკვლევართა დაკვირვებით, „უკვე მე-12 საუკუნეში ორიგინალურ ტექსტებში ნაწევარი უფრო და უფრო ნაკლებად ჩნდება ანაფორულობის კონტექსტებშიც კი... ხოლო თარგმანებში ანაფორული განსაზღვრულობა, ფაკულტატიურად მაინც, გაცილებით უფრო დიდი ხნის განმავლობაში გამოიხატება“ (იქვე: 3-4). ა. ორტმანისა და თ. კილურაძის დასკვნით, „ნაწევრის გამოყენების სფეროს გაფართოება ქართულ ლიტერატურაში – განსაკუთრებით მე-11 საუკუნემდე – ბერძნულის, როგორც სათარგმნ ტექსტთა წყარო-ენის, ძლიერი გა-

ფაქტორი განაპირობებს“. ამდენად, და ამას განსახილველი თემისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, „დაზუსტებას მოითხოვს სპეციალურ ლიტერატურაში [ს. ქდენტისა და პ. ჯაჯანიძის ზევით მითითებულ ნაშრომებში – ლ. კ.] გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს გურულსა და აჭარულში გადმონაშთის სახით დღესაც ცოცხალი იყოს განსაზღვრული ნაწევრის ხმარების ძველქართულისებური ნორმა“ (იქვე: 137-138). ძველ ქართულში ნაწევრის არსებობას საერთოდ უარყოფდა **ზ. სარჯველაძე**: „ძველ ქართულში ნაწევარი არ არის“ (1997: 64). მის ამ თვალსაზრისს იზიარებს **ლ. ციხელაშვილიც**: „ნაწევარი იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელია, რომელიც რეალიზდება როგორც პრეპოზიციურად (მაგ., *გვე კაცი*), ისე პოსტპოზიციურად (მაგ., *კაცი გვე*)“ (2017: 111-117; იხ. ასევე: ციხელაშვილი, როსტოვეცე-პოპიელი 2018: 86).

ვლენის შედეგი უფრო უნდა იყოს, ვიდრე ცოცხალ ქართულში განხორციელებულ ცვლილებათა ანარეკლი... ხოლო მე-12 საუკუნის დასაწყისიდან ნაწევრის გამოყენების სფეროს შემცირება ბერძნულის ზეგავლენის შესუსტებას უნდა მოჰყოლოდა“ (იქვე: 4). ძველ ქართულზე ბერძნული ენის გავლენის დასასაბუთებლად მკვლევრები იხსენებენ სპეციალური ლიტერატურიდან იმ კარგად ნაცნობ გარემოებებს, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ნათარგმნ ძეგლთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ბერძნულიდან არის თარგმნილი, ხშირ შემთხვევაში ქართული თარგმანები ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება ბერძნულ ორიგინალს და ნათარგმნი თხზულებების სტილის გავლენა მძლავრად იჩენს თავს თვით ორიგინალურ ძეგლებშიც, მით უფრო, რომ „ბერძნულში ნაწევრები სისტემატურად გამოიყენებოდა განსაზღვრულობის პრაქტიკულად ყველა (ე.ი. როგორც პრაგმატიკული, ისე სემანტიკური განსაზღვრულობის) კონტექსტში“ (იქვე: 4)¹.

ამრიგად, ირკვევა, რომ ძველი ქართული „განსაზღვრებითი ნაწევრის“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართულისათვის ჭარბ, ბერძნულის ძლიერი გავლენის წყალობით აღმოცენებულ ოდენ ტექსტურ, „წიგნურ“ – და არა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ – მოვლენასთან, რომელიც, ბუნებრივია, ქართული ენის დიალექტებში ვერანაირი „გადმონაშთის სახით“ ვერ შემოინახებოდა და აკი არც შემონახულა კიდევ!

მაგრამ ზოგადტიპოლოგიურ ნაშრომებში გამოყოფენ სხვა ტიპის ნაწევრებსაც, მათ შორის – ანაფორულს, რომელთა უმთავრესი ფუნქციაც სწორედ ანაფორული რეფერენციის მარკირებაა (მაგ., ლაიონზი 1999: 53-54, ბეკერი 2021: 11, 94, 113-116, 165-185...) და რომლებიც, ჩვენებითი ნაცვალსახელების მსგავსად და განსაზღვრებითი ნაწევრებისგან განსხვავებით, არ დასტურდება სემანტიკური განსაზღვრულობის კონტექსტებში. ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ძველი ქართულის ნაწევარი სწორედ ამგვარი, ანაფორული ნაწევარ-

¹ როგორც მასალის ანალიზი გვიჩვენებს, შორსჩვენებითი ნაცვალსახელი იგი (მას...) ორიგინალურ წერილობით ძეგლებში სემანტიკური განსაზღვრულობის აღსანიშნად ხშირად დასტურდება უკვე ადრინდელ ძველ ქართულშივე (მაგ., იმავე ცურტაველთან), რაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ბერძნულის გავლენა ქართულზე იმთავითვე მძლავრი უნდა ყოფილიყო.

რია? არსებითად ასეთ დასკვნამდე მივიდა 2014 წელს გამოქვეყნებულ წერილში ორტმანი, რომელმაც სხვადასხვა ენებში ნაწევართა გამოყენების თავისებურებათა საფუძველზე (შვარცის (2013) კვალდაკვალ; იხ. ასევე: შვარცი 2019) გამოყო ენათა ორი ტიპი – ერთი, რომლებშიც ნაწევარი მხოლოდ პრაგმატიკულ კონტექსტებში დასტურდება და მეორე, რომლებშიც პრაგმატიკული და სემანტიკური განსაზღვრულობა ორი განსხვავებული, შესაბამისად, „მლიერი“ და „სუსტი“ ნაწევრით აღინიშნება, და ძველი ქართული პირველი ტიპის ენებს მიაკუთვნა (ორტმანი 2014: 313-318). ამ „პირველი ტიპის“ ენათა ნაწევარი კი სხვა არაფერია, თუ არა ანაფორული ნაწევარი (ბეკერი 2021: 11, 13, 94, 106, 113-116, 165-185...).

მაგრამ ეს ნაწევრები, ბეკერის თანახმად, „არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დეიქტური რეფერენციისათვის, რაც განასხვავებს მათ ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან“ (იქვე: 113, იხ. ასევე ზევით მითითებული გვერდები), ანუ, ბოედერის (იხ. ზევით) პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, ჩვენებითი ნაცვალსახელის დეიქტური გამოყენება წარმოადგენს ანაფორული ნაწევრისაგან მის განმასხვავებელ ნიშანს (*differentia specifica*). ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენებით ნაცვალსახელთა უმთავრეს ფუნქციას ქართულში მთელი მისი ისტორიის მანძილზე და მის ყველა ქვესისტემაში სწორედ დეიქტურობა წარმოადგენდა და წარმოადგენს, ვერც ძველი ქართული-სა და ვერც ახალი ქართულის (მისი დიალექტების ჩათვლით) ჩვენებით ნაცვალსახელებს ანაფორულ ნაწევრებად ვერ მივიჩნევთ. ეგვევითქმის ზანურსა და სვანურზეც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ ქართველურ ენობრივ სამყაროში არც განსაზღვრებითი ნაწევარი გვაქვს და არც – ანაფორული. არ ჩანს ისინი არც ისტორიულ რეტროსპექტივაში. ეს კი გვაიძულებს ექვის თვალით შევხედოთ ქართველურ ენათმეცნიერებაში გაბატონებულ თვალსაზრისს უძველეს (დამწერლობამდელ) ქართულში (ან სულაც უკვე საერთოქართველურში) განსაზღვრულობის კატეგორიის არსებობისა და სახელობით და მოთხრობით ბრუნვათა -ი და -მან ნიშნებისა და მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა ნიშნებს დართული მავრცობი -ა ნაწილაკის განსაზღვრებით ელემენტთაგან მომდინარეობის თაობაზე.

ტარიელ ხარხელაურის პოეზიის ზოგი თავისებურების შესახებ

„დინჯი ინტონაცია, ფიქრიანი სტრიქონი, მოხდენილი რითმა, მოუჭარბებელი, ზომიერი დიალექტური ლექსიკა, ორიგინალური სიტყვათქმნადობა, ხასხასა პოეტური სახეები, მეტყველი აზრიანობა, ბუნებრიობა და ზოგიც ჩვენთვის ჯერაც გაუცნობიერებელი თვისება ერთად აღებული და შენივთებული ქმნის ტარიელ ხარხელაურის პოეტურ სამყაროს, რაც ასე თავისთავადი და ხალასი პოეზიის ფაქტია“ (ტ. კვანჭილაშვილი).

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი უფალს შესთხოვს საქართველოს თავისუფალებას – „უფალო ჩემო! ერთხელ კიდევ, ო, ერთხელ კიდევ – ღირსმყავი ვნახო საქართველო თავისუფალი“, ადარდებს მძიმესენშეყრილი სამყარო და მზად არის, წამლად დაედოს მამულის წყლულებს – „არაგველებო, მამული მტკივა, წამლად დამადეთ მამულის წყლულებს, მძიმე სენი სჭირს სამყაროს მთლიანს და ვერ ისვენებს მსოფლიო სული“...

„ტარიელ ხარხელაურის ლექსებში ბუნების პრიმატი აშკარაა. ისაა ხშირად მოქმედი პირიც, განსჯის ობიექტიცა და პოეტური ლოცვის ადრესატიც. ბუნების ორგანული შეგრძნება შობს პოეტის ბევრ მშვენიერ ლირიკულ სტრიქონებს“ (ა. არაბული). ის მთაში დაიბადა და, ბუნებრივია, იქვე აიდგა ფეხი. პოეტის მრწამსი და სიცოცხლის მიზანიც მოდის სწორედ მთებიდან, საიდანაც ანკარა წყაროსავით იღებს სათავეს მისი ლექსებიც. „ტ. ხარხელაურის ტროპი ტევადია, შედარებები თუ ეპითეტები ბევრის მთქმელი, მაგ.: „წყლის პირას ჩემი ბავშვობა გვიმრის ფოთლებზე თვლემდა“... ამ ხატით არა მხოლოდ ბავშვობის წარმტაცი დღეები ცოცხლდება, არამედ გარემოს სპეციფიკაც ცნაურდება, თრთოლვის ხასიათიც კარგად იგრძნობა“ (ნ. ტაბიძე). შემოქმედი თავის ხმას ხშირად ცხოველის ხმას ადარებს, მთაში „ლოკავს მთვარის ნაწოლს“ და ყვირის ირემივით („გადაველ, გადავიყვირე ვიწრო ტყეები ფშავისა, მთას **ირემივით** ვიყვირე, ვლოკე ნაწოლი მთვარისა... ქარი არხევდა ცისპირებს, ბნელ

ხეებს – ბორგვა წყალისა, მხარზე მზის მედო ნატეხი, მკლავზე – ნალევი მხარისა“). პოეტი ხან წვიმა („**წვიმასავით** გადავივლი ჩამოსი-ცხულ ქარაფებს, არ დატოვებს ჩემი ჩრდილი ფერფლის გარდა არა-ფერს“), ხან კიდევ – ქარი („არც **ქარივით** მოვბრუნდები, ნისლი ავატრიალო, მერე რა, რომ მომწყურდები, კლდეებს გავლოკ მტვრია-ნებს“)... ბუნებისა და პიროვნების ასეთი შერწყმა-ერთიანობა მხოლოდ დიდ შემოქმედთა ხვედრია.

ფერთა ნაირსახეობით იხატება პოეტის სევდიანი ცხოვრების გზა. მწუხარებაგამოვლილი პოეტისთვის ბუნება ზოგჯერ „**გლოვის-ფერია**“ („არ მიკვირს გაუგნურება, განზე გადგომა მხარისა და **გლოვისფერი** ბუნება, ჩამოღონება მთვარისა“). ცა შეიძლება „**ტკივილის-ფერი**“ იყოს („ცა არის ისევ **ტკივილისფერი**, მე უდროო დროს გამო-მეღვიძა“), ან კიდევ „**ბინდისფერი**“ („ვიდექი თვალსისხლიანი, ცას **ბინდისფერად** ვფერავდი“). **სისხლისფერი** აქვს შემოქმედის ტკივილს („ჩემს ტკივილს **სისხლის ფერი** აქვს, ჩემს ცრემლებს სისხლის გემო“), ცრემლებს კი – **ლურჯი** („ვარსკვლავიანი თავსასთუმლად მეგო მინდორი, ვქმნიდი მუსიკას ტკივილების, **ლურჯი** ცრემლების“)... მის ლექსებში **ყვითელი ფერი** ხშირად დაუნდობელი წუთისოფლის სიმბოლოა: „დღენი **ყვითლობენ**, დამოკლდნენ, ვერ შესძლეს არე მოჩრდილონ, არ მოსტყდე მუხავ არ მოსტყდე, ქარებს არ დაემორჩილო!“... ზოგჯერ **ყვითელი ფერი** სევდის, სასოწარკვეთის მეტაფორაა: „ამ **ყვითელ ფერებს** ვერ ჩაუვლი გარეშე სევდის. ამაოდ ვდევიდი ყოველივეს, ამაოდ ვდევიდი. ... ვინ გამოკვეთა ან რა იღბალი, როცა სამყაროც თავს გაბეზრებს თავის სიმრგვალით“. „ხარხელაურის შემოქმედებაში ერთმანეთს უპირისპირდება **მზე** – როგორც ღვთიური და **ყვითელი**, როგორც ცოდვილი სამყაროს სახე : „მზეო, შენს გამო გვმართებს სიფრთხილე, **მზეო**, შენს ირგვლივ **ყვითელს** ვხედავ ცას... ვაი მას ვინამც ბოლოს გიხილოს, ვინც მოგიხილა პირველი, ნეტა მას!“ (ნ. კობიაშვილი).

ტ. ხარხელაურის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ვნებითი გვარის ზმნათა ორიგინალურად გამოყენება: **გავთენდე** („იქნებ ჯობია, აღარ **გავთენდე**...“); **გარდავიცვლები** („...მოვკვდე და ნულარ **გარდავიცვლები**“); **დამებინდები** („მზეო, – მავალო სიფრთხილით, ჩახვალ და **დამებინდები**“)... აგრეთვე შეინიშნება ფუძედრეკად ზმნებთან -

ავ თემისნიშნის გამოყენების შემთხვევები, რაც მეტ პოეტურ ელფერს სძენს სათქმელს: **იწვეტავ** („არ გინდა?! წყაროვ, წავიდეთ, ერთად, გვერდიგვერდ ვიაროთ, რა წელს **იწვეტავ**, გაბრუნდი, გრძელ გზას არ დაგაგვიანო“); **აწმენდავ** („დაუწვევია ნეკერჩხალს ტოტი და სისხლიან ფრთას **აწმენდავს** ქორი“); **მიხვრეტავ** („გადადუღებულ ტვინს **მიხვრეტავს** ყროყინი ზოგის“)...

პოეტის ლექსებში ზომიერად გვხვდება ძველქართულისებური, ან ერთი შეხედვით, არქაული იერის მქონე გრამატიკული ფორმები: „სხვას არც არაფერს შენგან ვითხოვ, ტადარო **ქრისტესავ**...“; „შეჭირხლულ ტოტებს ხე დახრის, **გაი** გამხურა მცინარე, -გამომყე! - ქარი მეძახის, -მოდი! - აბლავლდა მდინარე“; „-სირცხვილ **არს!** - ქარი ატირდა, -სირცხვილ **არს!** -ოხრავს მდინარე“; „სულნო ბნელეთის, ყველა სკნელის კარნი **განახუნეთ**, რომ ჩემი მოსვლა ყველა ნერვით იგრძნოს სამყარომ“ ...

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა მ ე

„შვილი“ ქართველ ებრაელთა გვარებში

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველ ებრაელთა გვარების შესახებ ნაშრომები გამოჩნდა მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან. როგორც მონაცემთა ბაზები გვიჩვენებს, ფორმათა ნაირგვარობით, სპეციფიკური სემანტიკითა და გრამატიკული სტრუქტურით ქართველ ებრაელთა გვარები ლინგვისტური და ინტერდისციპლინური კვლევა-ძიებისათვის მეტად საინტერესო მასალაა.

საქართველოში გავრცელებული ქართველ ებრაელთა გვარები სტრუქტურულად თითქმის არ განსხვავდებოდა ქართული გვარებისაგან. სწორედ ამიტომ იყო, რომ არსებობდა ე. წ. ქართველთა და ებრაელთა საზიარო გვარები. მაგალითად, მეგრელიშვილი, თეთრუაშვილი, პაპიაშვილი და სხვ., ქართული გვარებიც იყო და ებრაულიც. ქართველების გვარები და ებრაული გვარებიც ზოგჯერ მათ კუთხურ წარმომავლობაზეც მიუთითებდა, მაგალითად, ხახიაშვილი – რა-

ჭულზე (ონი), აბათხანაშვილი, ქოსაშვილი – სამცხურ-ჯავახურზე (ახალციხე), მამისთვალაშვილი – ქართლურზე (გორი, ცხინვალი), ადაშვილი- ქართლურზე (სურამი), მირილაშვილი – იმერულზე (კულაში) და ა. შ.

მიუხედავად ამგვარი სიახლოვისა, ებრაელთა იდენტობის ერთ-ერთი გამოვლინება საქართველოში გახლდათ მათი გვარებიც. ქართველ ებრაელთა გვარებს ახასიათებდათ როგორც ფორმოზონი, ასევე სემანტიკური თავისებურებები. რ. თოფჩიშვილის მიხედვით, სტატისტიკური მონაცემებით, ქართულ გვარებში -ძე დაბოლოება ჭარბობდა სხვა დაბოლოებებს (რაოდენობრივი თვალსაზრისით ვითარება ასეთია: -ძე, -შვილი,-ია, -ვა, -იან, -ურ,-უა, -ელ, -ში, -სკირი, -ჭკორი, -ყვა). ებრაელებთან -შვილ-ზე დასრულებული გვარები იყო ყველაზე გავრცელებული. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ებრაელთა ამ გვარების ტრანსფორმაციები ისრაელში „ალიის“ შემდეგ. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ისრაელის სახელმწიფოს დაარსებისთანავე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულმა ებრაელთა ერთმა ნაწილმა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ამიტომ გვარების ტრანსფორმაცია ყველა ქვეყნიდან მიგრირებული ებრაელებისათვის არის დამახასიათებელი. ამ მოვლენას ებრაულად „ივრუთ“ ანუ გვარების ებრაიზაცია ჰქვია. საქართველოში არსებული გვარები ზოგჯერ უცვლელად შეინარჩუნეს (მოშიაშვილი), ზოგჯერ მოხდა გვარის დეზინტეგრაცია და – შვილი დაბოლოება ჩამოცილებულია (ელიშელაშვილი – ელიშა). ძალიან საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა შვილის ებრაული თარგმანი შემოგთავაზეს და გვარის სხვა ნაწილი უცვლელი დატოვეს (დავითაშვილი: ბენ-დავიდ), ან თარგმნეს ორივე ნაწილი (წიწუაშვილი: ბენ-ორენ).

ებრაულში არის სქესის კატეგორია. შვილის აღმნიშვნელი ზოგადი სიტყვა, რომელიც როგორც ბიჭისათვის, ასევე გოგონასათვის იქნება გამოყენებული (როგორებიცაა ინგლისური child ან რუსული...) ებრაულში არა გვაქვს. გვაქვს მდედრობითის აღმნიშვნელი ბათ (בַּת) „ქალიშვილი“ და მამრობითის აღმნიშვნელი ბენ (בֶּן) „ვაჟი“. ძველ ებრაულში მისი შესატყვისი იყო ასევე ბარ (בָּר). ქართულში შვილი გამოიყენება როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქე-

სის შვილის აღსანიშნავად. რაც შეეხება მამრობითი სქესის გამო-
მხატველ სიტყვა მე-ს ქართულ გვარებში ყველაზე მეტი რაოდენო-
ბითაა წარმოდგენილი შვილის ფარდად და გამოიყენება განურჩევ-
ლად სქესისა. ხოლო მდედრობითის გამომხატველი **ასული** ქარ-
თულ გვარებში არ იხმარება. აღსანიშნავია, რომ ქართველმა ებრაე-
ლებმა გვარების ტრანსფორმაციისას გამოიყენეს ბიჭის აღმნიშვნელი
ბენ (ბჷ) „ვაჟი“. ძველი ებრაულისათვის დამახასიათებელი ბარ (ბჷ)
ქართველ ებრაელთა გვარების ტრანსფორმაციისას არ დაგვიდასტუ-
რებია. აღმოჩნდა რამდენიმე შემთხვევა, როცა საქართველოდან მი-
გრირებულ ებრაელ ქალს შვილის ფარდად გამოყენებული აქვს ბათ
(ბჷ) „ქალიშვილი“.

მოხსენებაში საუბარი იქნება სტატისტიკურ მონაცემებზე ქარ-
თველ ებრაელთა გვარების შესახებ, ასევე, წარმოდგენილი იქნება -
შვილის შემცველი ქართველ ებრაელთა გვარების ფორმოზრივ-სე-
მანტიკურ ანალიზი.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი კრებითი ლექსემა სვანურში

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ნათესავთა ერ-
თობლიობას გამოხატავს კრებითი სიტყვები: სანათესავო და ნათესა-
ობა. თავად სიტყვა *ნათესავ-ს* ძველი ქართული ენის ლექსიკონის
მიხედვით რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: “თესლი”, “ნათესავობა”,
“ტომი”; “ჩამომავალი”, “მოდგმა”, “გვარი”, “მახლობელი”; *ნათესავნი*
“კაცობრიობა”. აღნიშნული კრებითი ლექსემების შესატყვისად სვან-
ურ ენაში რამდენიმე ლექსემა დასტურდება; მათგან სამი კომპოზი-
ტია: **ნაათი-მენათი** (ზზ.), **ნაათი-მენათი** (ბქ., ლნტ.), **ნათიმენათი**
(ლშხ.) **ნაათი-ნათსაჷ** (ზზ.), **ნაათი-ნათსაჷ** (ბქ.), **ნათინათსაჷ** (ლშხ.),
თან-ნათსაჷ (ზსვ.) და, ასევე, ქართულისებური წარმოების **ნათიობა**

(ბზ.), ნათიობა (ლზზ.), ნათიობა (ლნტ.), რომელიც ბალსქვემოურის-თვის უცხოა.

როგორც ვხედავთ, სამსავე საანალიზო კომპოზიტიში მეორდება *ნა/ნათი* “ნათესავი” ფუძე.

ნათი-ნათსაჲ (სანათესავო, მოდგმა, ნათესაობა – კრებ.), ერთი შეხედვით, ფუძის გაორკეცებით მიღებულად შეიძლება მოგვეჩვენოს. თუმცა, კომპოზიტის პირველი ნაწილი (ნა/ნათი) სვანურში დამოუკიდებლად აღნიშნავს “ნათესავს”: **ჩუბიხე შუჲანს ხუჲა ნათი მავს** “ქვემო სვანეთში ბევრი ნათესავი მყავს”. ასევე “[ნა]წილს”: **მესმე ნათი** “მესამედი წილი” (შდრ. ლი-თ-ი “გაყოფა”). ვვარაუდობთ, რომ საანალიზო კომპოზიტის კომპონენტები სხვადასხვა წარმომავლობისაა: პირველი სვანურია და, ჩვენი აზრით, ისტორიულად გასუბსტანტივებული ნამყოს მიმღობაა *ლი-თ-ი/ე* “გაყოფა, წილის მიცემა” ზმნისა: *ლოხო-თ-ე* “გაუყო, უწილადა”: *ხოშა მუხუბედ ხოხრაძე მამაგუემ ლოხოთე* (ბქ.) “უფროსმა ძმამ უმცროსს არაფერი უწილადა”. ასეთ შემთხვევაში ძირი გამოდის **თ** (ხოშ არა აქვს საერთო ქართულ **თ**- ძირთან სიტყვაში მ-**თ**-ელ-ი); კომპოზიტის მეორე კომპონენტი (*ნათსაჲ*) კი ქართულიდან უნდა იყოს შესული; ქართული *ნათესავი*, როგორც ცნობილია, *თესლ*-ს უკავშირდება და ძირია **თეს**. სვან. *ნათსაჲ* “ნათესავის” ფონეტიკურად კანონზომიერი შესატყვისია: *ნათესავი* > *ნათსაჲ* მიღებულია *ე* ხმოვნის *რედუქციისა* და *ორივე ა ხმოვნის გაუმლაუტების შედეგად*, *პირველი ა*’ს *უმლაუტი რედუქცირებული ე*-ს კვალია, ბოლო კი – სახელობითი ბრუნვის ნიშნისა. ეს ლექსემაც, პირველი კომპონენტის მსგავსად, ისტორიულად ნამყოს მიმღობაა.

კომპოზიტი **თან-ნათსაჲ** ასევე ორი სრულმნიშვნელობიანი ლექსემისგან შედგება; სიტყვასიტყვით: “ჯიმ-ნათესავი” და მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში დასტურდება.

ნათი-მენათი (სიტყვასიტყვით “ნათესავ-მონათესავე”) ფუძის გაორკეცებით არის მიღებული, ოღონდ მეორე ნაწილი გართულებულია მიმღობური პრეფიქსით.

ნა/ნათიობა/ნათიობა ძალზე იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება სვანური ენის სამ დიალექტში, ბალსქვემოურის გამოკლებით, რაც მიგვანიშნებს ამ ერთეულის ქართულის გავლენით გაჩენაზე მოგვი-

ნებით (ბალსქვემოური დიალექტი სვანურ დიალექტთა შორის ყველაზე ნაკლებად განიცდის სალიტერატურო ენის გავლენას).

რაც შეეხება საანალიზო კომპოზიტთა კომპონენტების სემანტიკას, პირველი კომპოზიტში (*ნატი-ნათსაჟ*) მათი მნიშვნელობები არ არის მთლად იდენტური: პირველი ნაწილი (*ნატი*) ფარავს ქართულ *ნათესავის* თანამედროვე მნიშვნელობას. აწარმოებს მრავლობითი რიცხვსაც (ნა/ათიარ). ხოლო *ნათსაჟ* “სანათესავოს” მნიშვნელობით ძირითადად კომპოზიტის შემადგენლობაში გვხვდება, მის გარეთ კი მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში დასტურდება და “მსგავს”-ს ნიშნავს, ექსპრესიულობის ელფერით (ჩვეულებრივ, მსგავსი – “მაჯონ”): *ობაშ ობთხელ, მარე ამიშ ნათსაჟს დემგვამომო ოთასდ* “ზეერი ვეძებე, მაგრამ ამის მსგავსსაც (/ამდაგვარსაც) კი ვერაფერს წავაწყდი” (ბქ.).

მეორე შემთხვევაში (*თან-ნათსაჟ*) კომპონენტთა მნიშვნელობა კიდევ უფრო განსხვავებულია, თუმცა კომპოზიტის სემანტიკა თითქმის პირველის იდენტურია და ნიშნავს “სრულიად სანათესავო”, “ჯიშ-ჯილაგი”.

ამრიგად, *ნათიობა* ლექსემისგან განსხვავებით, სამივე კომპოზიტი ნიუანსობრივად ერთმანეთისგან მცირედ განსხვავდება, სამივეს ძირითადი მნიშვნელობა “მთელი/სრულიად სანათესავო, ჯიშ-ჯილაგი”, ხოლო *ნათიობა* კონტექსტში შესაძლოა არ გულისხმობდეს “სრულიად სანათესავოს” (მაგალითად, *ნინოს მიჩა ნათიობა ობჯად* “ნინოს თავისი სანათესავო ეწვია” – აქ თავისუფლად ჩაენაცვლება *ნათიარ* “ნათესავები”); კომპოზიტების გამოყენების შემთხვევაში ხაზი ესმება არა მხოლოდ სიმრავლეს, არამედ აბსოლუტურ სიმრავლეს.

ვფიქრობთ, საანალიზო ლექსიკური ერთეულების გენეზისი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპს უკავშირდება. საანალიზო კომპოზიტები გარკვეულწილად ექსპრესიული ხასიათისაა და ამიტომაც ისინი ხშირად არიან ჩართული ფრაზეოლოგიზმებში.

ხცისი

(ეტიმოლოგიური ძიება)

ხცისი – სოფელია საქართველოში, შიდა ქართლის მხარის ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს.

სოფლიდან დაახლოებით 1,5 კმ-ზე დგას ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. სოფლის ცენტრში კი – წმინდა გიორგის ეკლესია.

ჩვენი აზრით, ტოპონიმი **ხცისი** უნდა წარმოადგენდეს **ცემა** მასდარის პირიან ფორმას, იმგვარადვე გასუბსტანტივებულს, როგორც ტოპონიმი **ხერთვისია**.

ხ-ცი-ს მან მას ის > **ხ-ცი-სი**.

რა მოტივით შეიძლებაოდა დარქმეოდა ამ ადგილს ხცისი?

სოფელთან ახლოს არის იოანე ნათლისმცემლის XI საუკუნეში აგებული ეკლესია.

ტოპონიმი შეიძლება მიღებული იყოს „ნათელ ხცის“ სინტაგმიდან პირველი კომპონენტის დაკარგვის გზით. ნათელ ხცის (მან მას ის), სადაც **ხანი** მე-3 ირ. ობიექტური პირის ნიშანი უნდა იყოს.

წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და **ნათელ ხცემდით** მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. (ხანმეტი ტექსტები 1984 : 63).

მოხსენებაში დამატებით წარმოდგენილი იქნება მაგალითები.

„ყურსსავით“ – სიმკვრივის განმსაზღვრელი ერთი მსგავსებითი შედარების შესახებ ბაგრატ ბატონიშვილის კულინარიულ დისკურსში

„ამ დრომს ცვლილებას, გლეხთა რეფორმას და დღევანდელს ჩუწნს მდგომარეობას რომ უყურებ, საჭიროთა ვხედავდი სამზარეულოს წიგნის შედგენას, რადგანაც **არ მეგულვება ქართულს ენაზე ამგვარი წიგნი**“, – წერს ბარბარე ჯორჯაძე საკუთარი წიგნის წინასიტყვაობაში, წიგნისა, რომლის სრული სახელწოდებაა „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი (დამატებით ზოგიერთთა რუსულთა საჭმელთა) შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძისაგან“. 1874 წელს თბილისში გამოცემული ეს კრებული, ბ. ჯორჯაძის მსგავსად, დღესაც ბევრს მიაჩნია ქართულ ენაზე დასტამბულ პირველ კულინარიულ წიგნად, მაგრამ ასე არ არის.

ვისაც კნენიას მიერ საოჯახო საჭმეების კეთება და სამზარეულოს წიგნის შედგენა აკვირვებდა, უფრო მეტად გააოცებდა ქართლკახეთის უკანასკნელი მეფის ძის პეტერბურგში გამოცემული კულინარიული კრებული, რომლის შესავალშიც ვკითხულობთ: „წიგნი ესე საუკეთესოთა სანოვაგეთა, შაქარლამათა, და სასმელთა შესამზადებელი / გამოვჰკრიბე და ვთარგმნე რუსულისა ენისაგან, ძეთათვის მამულისა ჩემისათა ქართველთა, **ვინადგან არა იყო ქართულსა ენა-საზედა აქამდე**. მე საქართველოს მეფის გიორგის ძემან, და მისის იმპერატორების დიდებულების სასახლის კამარდერმან, და ორდენთა წმიდის ანნას პირველი ხარისხისა, წმიდისა იოანე იერუსალიმელი-სა მეორისა ხარისხისა კავალერმან **ბაგრატ**. წელსა 1818 სანკტ პეტერბურღს“.

მცხბრამეტე საუკუნეში შექმნილი ამ ორი ქართულენოვანი კულინარიული წიგნის ღირებულება ვიწროდარგობრივ ჩარჩოებს დიდად სცილდება და ზოგადკულტურულ მნიშვნელობას იძენს. სამშობლოსაგან მოშორებული ბაგრატ ბატონიშვილი ქართველთათვის ევროპული კულტურის გაცნობას, მათი თვალსაწიერის გაფარ-

თოვბას სხვა წიგნებითაც ცდილობდა. მისი ეკონომიკური და ვეტერინარიული ხასიათის შრომებიდან გამორჩეულია „სამკურნალო ცხენთა და სხვათა პირუტყვთა“, რომელიც ასევე 1818 წელს გამოიცა პეტერბურგში და ასევე პირველი ქართული ბეჭდური წიგნია ვეტერინარიაში.

ბაგრატ ბატონიშვილის მარტივ რეცეპტებში რუსულის გზით შემოტანილი, ქართულს მორგებული ევროპული სამზარეულოა წარმოდგენილი. აღნიშნული ფაქტი ტექსტზეც აისახება, მეტადრე ლექსიკაზე, რომელიც გაჯერებულია ბარბარიზმებით და საგანგებო კვლევის საგანია ისევე, როგორც სხვა ენობრივი თავისებურებები. ამჯერად მხოლოდ ერთ მსგავსებითს შედარებაზე შევჩერდებით.

კულინარიული დისკურსის საინსტრუქციო ხასიათიდან გამომდინარე, კერძის მოსამზადებლად განკუთვნილი მითითებები რომ შესრულდეს, მათი შინაარსი ზედმიწევნით გასაგები უნდა იყოს. მსგავსებითს შედარებას, როგორც უკეთ გაგებინების საშუალებას, რეცეპტურის ენაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის. ბაგრატ ბატონიშვილი ხშირად მიმართავს **-ვით-**თანდებულებას პრედიკატულ შედარებებს: „ჩააწყე იმ ცომში და **გააკეთე კუპატივითა**“, „მოუკიდე ფქვილი და **მოხარშე ფაფასავით**“, „შაქარი ანუ თაფლი აადუღე რომ **აღვაზასავით შეიქნას**“ და მისთ. სახელდობრ გასტრონომიულ შედარებათა გვერდით, შაქრიან / თაფლიან წყალში ან შაქარსა და თაფლში ხილის, კაკლოვანი მცენარეების ნაყოფთა თუ სხვათა მოხარშვის რეცეპტებში ვხვდებით ასეთ მინიშნებებს: „მოიღე ფუსტული და გული ამოართვი, ნახევარ გირვანქა, ეს დანაყილი ორ გირვანქა შაქარში ჩაყარე და **ყურსსავით მოხარშე**“, „[შაქარში მოხარშული ნარინჯი] ამთენი ადუღე რომ შაქარი **ყურსსავით გამაგრდეს**“. სიმკვრივის ხარისხის განსაზღვრისათვის დასტურდება ზმნიზედის ფუნქციით ნახმარი ვითარებითი ბრუნვის ფორმაც: „დარიჩინი, დ. მისხალი შაქარში ჩაყარე და **ყურსათ მოხარშე**“. რეცეპტში, რომლის სახელწოდებაა „ჩოქოლათო შაქრით მოხარშული“, გარდა საინსტრუქციო ტექსტისა, ჩვენთვის საინტერესო ერთეული უკანასკნელ წინადადებაშიც დასტურდება, რომელშიც იგი არა შესადარებლად, არამედ კულინარიულ შედეგად არის წარმოდგენილი: „მოიღე ჩო-

ქოლათო მეოთხედი, ა. ფუნთისა შაქარი, ორი გირვანქა, ჩაყარე ჩოქოლათო დაფხეკილი შაქარში და აადუღე, **ყურსსავით რომ შეიქნას** შაქარი გადმოდგი, და დაასხი თეფშზე და გააცივე. ესე იქმნება **საუკეთესო ყურსი**.“.

ყურსი, რომელიც დარგობრივ ლექსიკას მიეკუთვნება და ძირითადად ოქროსა და ვერცხლის გადადნობით მიღებულ მკვრივ მთლიან ნაჭერს აღნიშნავს, ბაგრატ ბატონიშვილს ეტალონური მნიშვნელობით აქვს ნახმარი და კულინარიულ დისკურსში კონსისტენციის მაჩვენებლად იყენებს. მოხსენებაში ვისაუბრებთ იმ საფუძველზე, რომელსაც ბატონიშვილის ამგვარი არჩევანი უნდა განეპირობებინა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე რ უ ს ე ც კ ი

პოლიტიკური ლექსიკის და აზროვნების ტრანსფორმაციის მეტაკოგნიტური მონიტორინგის და მართვის მეთოდი

მოხსენება წარმოადგენს ავტორის სადისერტაციო ნაშრომის – „აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი – მეტაკოგნიტური მართვის თეორიის შესაძლებლობები“ ჩარჩოში ჩატარებული კვლევების აპრობაციის პროცესის ერთ-ერთ აქტიობას და მოზადებულია არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონფერენციაზე წარსადგენად.

სადისერტაციო ნაშრომში, აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის ქრონიკული მოუგვარებლობის პრობლემა წარმოდგენილია როგორც დეფორმირებული აღქმით გამოწვეული მცდარი ინტერპრეტაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ფსევდო-კონფლიქტის ხატი რომლის წარმოებულ სისტემა – კვაზისამშვიდობო პროცესი. ამის ერთ-ერთ მიზეზად განიხილება რედუქციონისტული აზროვნების დომინირება და გამარტივებული (პრიმიტიული) ქცევითი მოდელების შექმნა.

ნაშრომში წარმოდგენილია კოგნიტური დეპრივაციის ცნება, და ყურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ პოლიტიკური მოვლენების აღქმა, გააზრება და ინტერპრეტაცია მიმდონარეობს ეთნო-რედუქციონისტული აზროვნების ჩარჩოში, რაც კარგად გამოი-სახება პოლიტიკურ და სამეცნიერო დისკურში არსებულ ტერმინებში და წარმოადგენს პოლიტიკური კომუნკაციების, პოლიტიკური ლინგვისტიკის, პოლიტიკური ფსიქო-ლინგვისტიკის კვლევის საგანს.

მოხსენების მიზანია – გავაცნოთ ენათმეცნიერულ საზოგადოებას არსებული პრობლემა და მეტაკოგნიტური მართვის თეორიაში წარმოადგენილი შესაძლებლობები, რათა დავანახოთ, რომ მათი პროფესიული ჩარევის გარეშე, არსებული კონფლიქტების მოგვარება და მომავალი კონფლიქტების პრევენცია არის პრაქტიკულად შეუძლებელი.

ამოცანები:

- წარმოვადგინოთ არსებული ეთნორედუქციონისტული მიდგომების შედეგად გამოწვეული საფრთხეები.

- შევთავაზოთ ალტერნატიული ჰოლისტური მეტაკოგნიტური მართვის მიდგომებზე დაყრდნობით სამშვიდობო პროცესის ინოვაციური მოდელი.

- გამოვკვეთოთ პროცესების აღწერაში გამოყენებული ტერმინოლოგიის ტრანსფორმაციის აუცილებლობა.

- ხელი შევუწყოთ ენათმეცნიერთა ინტეგრაციას კონფლიქტების პრევენციის და მართვის სამშვიდობო პროცესებში.

კვლევაში გამოყენებულია ა.რუსეცკის მიერ სადისერტაციო ნაშრომის ჩარჩოში შექმნილი კრიზისების მეტაკოგნიტური მართვის თეორია, რომელიც ემყარება ცნობილი მეცნიერების – ლასუელის, ფლაიველის, ი. ფრანგიშვილის, ჯ.გვიშიანის ნაშრომებს. განხილულია 20-დე სპეციალური ლექსიკონი, რომელიც გამოიყენება როგორც ზოგადად კონფლიქტების აღწერისათვის, ასევე შექმნილია სპეციალურად ცალკეიული კონფლიქტების მართვის პროცესების უზრუნველყოფისათვის.

გარდა ტრადიციული სამაგიდე კვლევებისა, ინტერვიუები-სა და შედარებითი ანალიზისა, ნაშრომში გამოყენებულია:

ლასუელ-ფლაიველის მეტაკოგნიტური მონიტორინგის კონცეპციის საფუძველზე შექმნილი მეტაკოგნიტური მონიტორინგის მეთოდი; 4D-RAV17 კონფლიქტების და სამშვიდობო პროცესების კვლევის მეთოდი და გაეროს კონცეპტუალური ჩარჩო I4P (ინფრასტრუქტურა მშვიდობისათვის), როგორც მშვიდობისათვის სოციალური მობილიზაციის და ახალი ორგანიზაციების შექმნის და განითარების მეთოდი. ამ შემთხვევაში საუბარია მეცნიერებზე და მათ ინტეგრაციაზე მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

წარმოდგენილია სამშვიდობო პროცესის ალტერნატიული ჰოლისტური მეტაკოგნიტური მოდელი. კვლევამ ხელი შეუწყო საქართველოში პოლიტიკური ლინგვისტიკის, პოლიტიკური ფსიქოლოგიის და პოლიტიკური ნეოლოგიის განვითარებას, რაც მოითხოვს ინტერდისციპლინური თანამშრომლობის განვითარებას. ასევე წარმოდგენილია „ნეოლოგიზმების ინტერვენციის მონიტორინგის და მართვის“ ტექნიკა. პრიველადაა შეფასებული აფხაზეთის მაგალითზე რთული კომპლექსური კონფლიქტის ლინგვოკომფლიქტის კომპონენტის ზეგავლენა კონფლიქტის ერთიან სისტემაზე და მის განვითარების პარადიგმაზე. ეთნო-რედუქციონისტული ტერმინოლოგიის ნაცვლად, პოლიტიკური კრიზისის აღწერაში გამოყენებულია ჰოლისტური მეტაკოგნიტური ტერმინოლოგია და წარმოდგენილია „მეტამშვიდობის თეზაურუსის“ შექმნის პროექტი. წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები და ინიციატივები.

აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის პოზიტიური ტრანსფორმაციისათვის აუცილებელია არსებული პოლიტიკური ენის (და შემომავალი პოლიტიკური ნეოლოგიზმების) მონიტორინგის, შეფასების და მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს სახიფათო ტერმინების ფიქსაციას და მათ დროულ ჩანაცვლებას შესაბამისი ტერმინოლოგიით.

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

ორმაგი ფრჩხილის გამოყენების საკითხისათვის

ქართულ პუნქტუაციაში ძირითადად გამოიყენება მრგვალი და კვადრატული ფრჩხილები. თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით კი ისეთ ოფიციალურ დოკუმენტაციაში, რომელშიც პირის მითითებასთან ერთად ხელმოწერაცაა საჭირო, გვხვდება დახრილი ხაზების ფრჩხილების ფუნქციით ხმარების შემთხვევებიც.

მრგვალი და კვადრატული ფრჩხილების გამოყენების სფერო გასაზღვრული და გარკვეულწილად ერთმანეთისგან გამიჯნულიცაა. კერძოდ,

მრგვალ ფრჩხილებში ჩაისმება:

1. სიტყვა, ფრაზა ან წინადადება, რომელიც წარმოადგენს წინა ნათქვამის განმარტებას / დაზუსტებას;
2. ტექსტში მითითებული, დამოწმებული ავტორი ან წყარო;
3. ისეთი ჩართული წინადადება, რომლითაც ავტორი დამატებით ინფორმაციას გვაწვდის.

კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმის:

1. აღდგენილი, არაავტორისმიერი სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ჩართულია დამოწმებულ ციტატაში;
2. ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში – პარალელურ ვარიანტთან მოძველებული ვარიანტი.

ფრჩხილის ფუნქციით გამოყენებულ დახრილ (ე. წ. წილადის) ხაზებში ჩაისმის ხელმოწერი პირის სახელი და გვარი, როდესაც იქვე მითითებულია მისი ხელმოწერა (შესამლოა, პირიქითი ვითარებაც იყოს).

როგორც ვხედავთ, ფრჩხილების ადგილი გამიჯნულია და წესით, არ უნდა ირეოდეს, თუმცა მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ასე არაა – ზოგჯერ კვადრატული ან დახრილი ფრჩხილები გამოიყენება მრგვალის ნაცვლად.

სირთულე ქმნის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფრჩხილებში წარმოდგენილ ჩანაწერში საჭირო ხდება დაზუსტების თვალსაზრისით ფრჩხილების ხელმეორედ გამოყენება და ერთად თავს იყრის ორი დამხურავი ფრჩხილი:

განსაკუთრებული მხარდაჭერა მივიღეთ იმასთან დაკავშირებით, რომ ნატოს საკანდიდატოზე [ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP)] ამერიკელები წელს მხარს დაუჭერენ საქართველოს (ქართუნი ეროვნული კორპუსი).¹

„მეც მოვისმინე ამის [თავდასხმის (რედ.)] შესახებ, მაგრამ ეს არ არის მართალი, ასეთი ჩვენთან არავინ შემოსულა“, – ამბობს გალელი ექიმი.

2002 წლის აღწერის თანახმად, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობს 4371 ათასზე მეტი ადამიანი, რაც 1989 წლის მონაცემებთან შედარებით [მიუხედავად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკმაოდ დიდი ნაკადისა კონტროლირებად ტერიტორიაზე (162 ათასამდე)], 431 ათასით ნაკლებია.

ქალბატონი კაპულეტი (ნათია მეტრეველი, ნინო გაჩეჩილაძე /III კურსი/) აქ ჩამოყალიბებული მატრიარქატის დედაბოძია.

ორი გამხსნელი ფრჩხილის გამოყენების შემთხვევები მასალის კვლევისას არ შეგვხვდრია.

მოხსენებაში გაანალიზებული მასალის საფუძველზე შემოთავაზებული იქნება (საკითხის დასმის წესით) პრობლემის მოგვარების გზა.

რ ო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე

ადამიანთა წარმომავლობისა და ადგილთა სახელების (ტოპონიმების) წარმოების ზოგი საკითხი ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში

I. ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში –ჟო ფორმანტს რამდენიმე ფუნქცია ეძებნება. ცნობილია, რომ პანკისის ხეობაში ადგილთა სახელები (ტოპონიმები) ძირითადად ქართულია. ასეთია სოფლების, ხეობების, ნასოფლარების, მთების, საზაფხულო სამოვრების...

¹ ავტორის ენა და სტილი დაცულია.

სახელები. ქართულ ტოპონიმებს სახელდებისათვის ქისტურში ერთვის -ჟო სუფიქსი, რაც იწვევს ზოგი ნასესხები ტოპონიმის ფონეტიკური ხასიათის ცვლილებებს.

ა) სესხებისას უგულებელყოფილია სახელობითი ბრუნვის ნიშანი (თანხმოვანფუძიანებში):

ქართული

დუმასტურ-ი (სოფ.)

ყვარეწყალ-ი (სოფ.)

წინუბან-ი (სოფ.)

ქორეთ-ი (სოფ.)

ხალაწან-ი (სოფ.)

პანკის-ი (ხეობა)

იგივე ითქმის ყველა თანხმოვანფუძიან ადგილის სახელზე, რომლებიც მდებარეობენ პანკისის ხეობის გარეთ:

გურჯაან-ი

მატან-ი (სოფ.)

აწყურ-ი (სოფ.)

ჭიქაურ-ი (მთა)

ქისტური

დუმასტურ-ჟო

ყვარელწყალ-ჟო

წინუბან-ჟო

ქორეთ-ჟო (//ქორათ-ჟო)

ხალაწან-ჟო

პენგიზ-ჟო (< პანკის-)

გურჯაან-ჟო

მატან-ჟო

აწყურ-ჟო...

ჭიქაურ-ჟო...

„თელავი“ (ქალაქი) ქისტურ მეტყველებაში არის „თელ-ჟო“, რომელიც მიღებულია შემდეგნაირად: თელავ-ი > *თელ-ავ-ჟო > თელ-ჟა//თელ-ჟო; როგორც ჩანს, თელ-ავ- ფორმაში -ავ- მარცვალი შეცვლილია -ჟო-თი. ამდენად ადგილის სახელის საწარმოებლად ბგერობრივად იგივე ფორმანტის დართვის საჭიროება აღარ იყო. შდრ., -ავ მარცვალში ბგერათა გადანაცვლება ნახურ ენათა საზოგადო სახელებში: ბაცბური – ლავ, ჩეჩნური – ლჟო „თოვლი“; ქართული ფშავ-ელ-ი > ფ-შავ > შავ: ბაცბური – შოვ (< შავ), ჩეჩნური – შჟო (< შჟა < შავ) „ფშაველი“.

-ევ მარცვალი ჩავარდნილი ჩანს ქარულიდან ქისტურში სოფლის სახელის – ძიბახევი-ს (< ძიბაჰევი-ი) – სესხებისას: ძიბაჰევი- > ძიბაჰ-ჟო;

ბ) ტოპონიმის სესხებისას იკარგება, აგრეთვე, ბოლოხმოვანი;

ქართული

ბაწარა (ნაკრძალი)
სპეროზა (მთა)
საკობიანო (სოფ.)
ახმეტა
იყალთო
ალაზან-ი

ქისტური

ბ'წარ-ჟო
პჟეროზ-ჟო
საკობჟენ-ჟო...
ახმეტ-ჟო//ახმატ-ჟო
იყალთ-ჟო...
ალაზან-ჟო...

II. ქისტურში -ჟო ფორმანტს აქვს წარმომავლობის სახელთა წარმოების ფუნქცია. რომელიმე ბირკვენ-ჟო ნიშნავს როგორც ბირკიანს (ტოპონიმს), ისე ბირკიანელსაც. ანალოგიურია: ხუარჯან-ჟო – ხორაჯანი (ნასოფლარი) და ხორაჯნელი; ჟომალ-ჟო – ომალო (სოფ.) და ომალოელი; ახმეტ-ჟო//ახმატ-ჟო – ახმეტა და ახმეტელი; ხალაწან-ჟო (სოფ.) – ხალაწანი და ხალაწნელი; ქალაქ-ჟო//ქალიქ-ჟო – თბილისი (ზოგადად, ქალაქი) და თბილისელი (ქალაქელი)...

ადგილის სახელდების ფუნქცია, რომელიც ქისტურ დიალექტშია, სპეციალურ ლიტერატურაში ჩეჩნურ ენაში გამოვლენილი არ არის. რაც შეეხება -ჟო ფორმანტის ფუნქციას, რომელიც გამოხატავს ადამიანის წარმომავლობის ადგილს, ადამიანის კუთვნილებას ამა თუ იმ თემისადმი თუ ეროვნებისადმი, ქისტურ დიალექტსა და სალიტ. ჩეჩნურში განსხვავებული არ არის.

პანკისში -აურთ-ზე (აურთ „სოფელი“) ბოლოვდება: დუჲ აურთ [დუის სოფელი] „დუისი“, ჯჟოყალ(ა)აურთ [ჯოყოლას სოფელი] „ჯოყოლო“; ორივე ამ სახელს სახელდებისათვის იშვიათად ემატება -ჟო ფორმანტი, თუმცა უმისოდაც სახელდების მნიშვნელობას გამოხატავს.

III. -ჟო ფორმანტი მეორეული ჩანს, ამოსავალი უნდა იყოს *-ავ, რაც პიროვნების წარმომავლობის სახელებში თითქმის სისტემის სახითაა წარმოდგენილი წოვათუშურში -ვz (v – ხმოვანი) ფორმანტის სახით: კახლ-ოვ (< კახელ-ოვ) „კახელი“; ქალქ-ოვ (< ქალაქ) „ქალაქელი“; მთივლ-ოვ „მთიული“; სომფხ-ოვ „სომეხი“; ჩინლ-ოვ „ჩინელი“; რაჭ-ოვ „რაჭველი“... ასევე: თათრ-ი-ვ „თათარი“; ურ-ი-ვ (ური-ვ?)//ურ-ოვ „ურია, ებრაელი“; ფხე-ვ „ხევსური“... თუმცა იძებ-

ნება ფუძის სახით წარმოდგენილი წარმომავლობის სახელებიც: ლეკ „ლეკი“, ოს „ოსი“, რუს „რუსი“;

წოვათუშების ოდინდელ საცხოვრებელ ადგილს ჰქვია **ბაცა** „თუშეთი“, რომლისგანაც -ვ სუფიქსით ნაწარმოები ჩანს ბაცა-ვ „წოვათუში“ (წოვათუშური მაგალითები მოხმობილია დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონიდან“, ე. ქადაგიძის „წოვათუშური ტექსტებიდან“).

-ჟო და -ოვ ფორმანტთა იდენტურობა საეჭვო არ ჩანს. ისმის კითხვა: ხომ არ არის მასში გამოსაყოფი -ვ როგორც ოდინდელი გრამატიკული კლასის ნიშანი?

ადამიანის სადაურობას ქისტურში -ე სუფიქსიც გამოხატავს: გურჯ-ე „ქართველი“, ჰირ-ე „ოსი“, ღაზ-ე „რუსი“... -ე (< *-ავ < *იავ), სავარაუდოდ, -ავ სუფიქსისაგან არის მიღებული -ვ-ს მოკვეციტ. ეს არის ის -ვ, რომელიც წოვათუშურში გვაქვს. ჩაჩნურ სალიტ. ენაში *-იავ სუფიქსის ნაშთი -ი-ს სახით არის დარჩენილი: ჰირ-ი „ოსი“, გურჟ-ი „ქართველი“, ორს-ი//ღაზ-ი „რუსი“...

-ჟო ფორმანტის სხვა ფუნქციებს ამჯერად არ განვიხილავთ.

ლი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

ქართულ მრავალდარგოვან ტერმინთა ნორმალიზაცია ქართულ ტერმინთბანკზე დაყრდნობით

ვეროპული ტერმინოლოგიური სტანდარტებისა თუ ტერმინოლოგიური სახელმძღვანელოების მიხედვით, ტერმინოლოგიური მართვის არარსებობის პირველი ნიშანი პარალელური, ანუ ერთი და იმავე დარგის ტერმინოლოგიაზე შეუთანხმებელი მუშაობაა, რაც განაპირობებს ადამიანური და ფინანსური ძალების არამიზნობრივ ხარჯვას. 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოში ტერმინოლოგიური მუშაობა უმართავად მიმდინარეობს. ტერმინის ქმნის ყველა: მთარგმნელი, პროფესორი, მასწავლებელი, ინჟინერი, საბანკო სა-

ქმის სპეციალისტი, იურისტი, ჟურნალისტი, ტელეწამყვანი ისე, რომ არ ინტერესდება, ამ დარგში არსებობს თუ არა უკვე ესა თუ ის ტერმინი ან საერთოდაც ლექსიკონი. ტერმინებისა და დარგობრივი ლექსიკონების სიჭარბე, ერთი და იმავე ცნებისთვის რამდენიმე შესატყვისი კიდევ უფრო ართულებს ნორმატიული ტერმინის დადგენა-დამტკიცებას, რაც ახლა ყველაზე მეტად საშური საქმეა ქართული ტერმინოლოგიის, ქართული დარგობრივი ლექსიკოგრაფიის, ზოგადად, ენის მომავლისთვის. ქვეყანა, რომელსაც არა აქვს განსაზღვრული, ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიური მართვის პოლიტიკა, ვერ შექმნის ნორმატიულ ლექსიკონებს.

ტერმინოლოგიური პოლიტიკის მოშლის მიუხედავად, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას არ შეუწყვეტია სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მუშაობა, დღემდე განაგრძობს ქართული ტერმინოლოგიური სკოლის ტრადიციული მეთოდოლოგიის შენარჩუნებასა და ამავე დროს აქტიურად თანამშრომლობს ევროპულ ტერმინოლოგიურ საზოგადოებებთან. ენათმეცნიერების ინსტიტუტში ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე მუშაობის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა სხვადასხვა დარგის მყარი ტერმინოლოგიური სისტემა, რომელმაც სათავე დაუდო მრავალდარგოვანი ტერმინთბანკის შექმნის იდეას; ქართული ტერმინთსაცავის (//ტერმინთბანკის) შექმნა 2014 წლიდან დაიწყო. პროექტის წარდგინება გაიმართა 2017 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (იხ.: <http://www.nplg.gov.ge/geo/events/> და ასევე – რადიოჩართვა: <https://www.youtube.com/>). 2018 წლიდან კი ევროპის ქვეყნების ტერმინთბანკის რუკაზე გაჩნდა საქართველოც (<http://www.termcat.cat/>).

ქართული ტერმინთბანკის უმთავრესი მიზანია, თავი მოუყაროს ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონის ყველა გამოცემას; გაანალიზოს და შეისწავლოს ტერმინები ისტორიის, წარმომავლობის, განვითარების, აგებულების მიხედვით, დაამუშაოს ქართულ ტერმინთბანკში თავმოყრილი მასალა, ყველა დარგი ტერმინოლოგიური ლექსიკონები და დარგის სპეციალისტებთან ერთად დაადგინოს და შექმნას ქართული ნორმატიული ტერმინების მონაცემთა

ბაზა; ამავდროულად შეისწავლოს ტერმინოლოგიურ ბაზებთან დაკავშირებული თანამედროვე ევროპული სტანდარტები, ტერმინოლოგიური პროგრამები; მათზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს ქართული ტერმინთბანკის გამოსაქვეყნებლად საჭირო ტექნიკური ამოცანა, შექმნას ქართული სტანდარტი.

მოხსენებაში დაწვრილებით განვიხილავთ აღწერილი სამუშაოს დროს გამოვლენილ გადასაწყვეტ სამეცნიერო საკითხებს, რომელთა მოგვარება უკვე ამ ეტაპზე განაპირობებს ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი რედაქციის ნაკვეთებად გამოცემის დაწყებას.

მ ე დ ე ა ლ ო ნ ტ ი

გონის, ღონის და ხერხის სუბსტანციურ-სემანტიკური მიმართებისათვის ქართულში

(„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“)

სიტყვის ფორმის (resp. ხორცის) და სემანტიკის (resp. სულის) ისტორიული განვითარების სკალაზე საგულისხმოდ აღიბეჭდება სიტყვათშემოქმედი ერის საღვთისმეტყველო ასპექტები. ამის დასტურად მოხსენებაში წარმოვადგენთ ქართული **გონის, ღონის და ხერხის** ამოსავალი სუბსტანციურ-ფუნქციური სემანტიკის ანალიზის ცდას, კერძოდ:

სამივე ლექსემის გადამკვეთი სემანტიკური ერთეულების ფუნქციონირებიდან გამომდინარე, ასევე, უძველესი ქართული ხალხური ნააზრევის (ანდაზების) და შესაბამისი საღვთისმეტყველო თარგმანებითი (ეგზეგეტიკური) მონაცემების გათვალისწინებით, განიხილება ყოველი მათგანის საგნობრივი საღვთისმეტყველო წანამძღვრები, რისი მეოხებითაც დგინდება მათი ოდინდელი ქრისტეშემოსილი შინაარსი და დანიშნულება.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

„თხა და ვენახი“ – ხალხური სიმღერის სვანური ვერსია
(საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების მიხედვით)

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია სტუდენტ ბენედიქტე ჩიქობავას მიერ გაკეთებული ჩანაწერები (სულ 12 გვერდი) სათაურით „სვანური ენისათვის“, რომელიც დათარიღებულია 1921/22 აკადემიური წლით (აკწ). აღნიშნულ ჩანაწერებში ხელნაწერის სახით (ფანქრით შესრულებული) გვხვდება სვანური ვერსია ხალხური სიმღერისა „თხა და ვენახი“.

ხალხი ლიდრალ

ალკედდ ი ალწ(უ)ენად ვენახ,

იმუ ლოხმამენს ვენახ..

ქრდერ ი ახ(უ)წუენ ვენახ

დაკელს ლოხმამა ვენახ!...

ტექსტს არ ახლავს ქართული თარგმანი, თუმცა ცალკეული ლექსიკური ერთეულები განმარტებულია ქართულად და ლექსიკონის სახითაა დართული. უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაწერების ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ნათესაობითი ბრუნვის მიმართ, ხშირ შემთხვევაში ნათესაობითის ფორმაც მიწერილი აქვს და პარალელურად მსაზღვრელ-საზღვრულიანი ფორმებიც წარმოდგენილია.

ეს ხელნაწერი საინტერესოა იმიტაც, რომ აღნიშნული ხალხური სიმღერის გარდა წარმოდგენილია სვანური ტექსტი მოთხრობისა „ნინუცა კლას“ (ნინუცას სკოლა), რომელსაც ახლავს სიტყვათა ქართული განმარტებები. ასევე ჩამოწერილია სხვადასხვა ზმნების უღლებისა და სახელთა ბრუნების პარადიგმები ქართული განმარტებითურთ, აგრეთვე, წინადადებები, რომლებიც პირველად, ყოველდღიურ ურთიერთობაშია საჭირო, მათ შორის, სადაურობისა და ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ქართული ვარიანტებით.

აღნიშნული ფოტო-მასალა სრულყოფილად მოხსენებაში იქნება წარმოდგენილი.

¹ ტექსტი წარმოდგენილია ხელნაწერის მიხედვით!

ქართული მ ა წ ფუძის მეგრულ-ლაზური და სვანური შესატყვისისათვის

მაწ- ფუძე წარმოდგენილია ქართულ სიტყვაში **მაწიერი** „ნოყიერი, ყუათიანი“ (ქეგლი); სიტყვის ამ მნიშვნელობასთან ახლოსაა საბას განმარტება: **მაწიერი** „დიდხანს ეყოს რამე“. **-იერ** ამ სიტყვაში სუფიქსია.

ქართული **მაწ-** ფუძის შესატყვისი უნდა იყოს მეგრულ-ლაზური ფუძე **მონჭ-** სიტყვაში **მონჭა** „მწიფე“ (**-ა** სუფიქსია, **ნ** – ფონეტიკური დანართი). **მონჭ-** ფუძის გამოყენებით იწარმოება არაერთი სიტყვა: მეგრ. **მონჭინაფა** „დამწიფება“, **მონჭინდგ** „მწიფდება“, **ომონჭინუანს** „ამწიფებს“, ლაზ. **უმონჭუ** „დაუმწიფებელი“...

ქართულ და მეგრულ-ლაზურ ფუძეებს შორის გვაქვს კანონზომიერი შესატყვისობები: ქართ. **მ** : მეგრ.-ლაზ. **მ**, ქართ. **ა** : მეგრ.-ლაზ. **ო**, ქართ. **წ** : მეგრ.-ლაზ. **ჭ**.

შეიძლება დაისვას საკითხი ქართული **მაწ-** და მეგრ.-ლაზ. **მონჭ-** ფუძეთა კავშირისა სვანურ **მეჭე** „მწიფე“ სიტყვასთან. თუ ეს დაკავშირება სწორია, მაშინ ქართ. **წ** : მეგრ.-ლაზ. **ჭ** : სვან. **ჭ** შესატყვისობასთან გვექნება საქმე. ამგვარი შესატყვისობის რამდენიმე მაგალითი გვაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. მარი, ვ. თოფური, გ. მაჭავარიანი...).

იზაჩანტლამე, რუსუდან იოსელიანი,
ნინო ნაკანი, რუსუდან ჯაფარიძე

პირველი გერმანულ/რუსულ-სვანურ-ლათინური ლექსიკონის ფრაგმენტი

ალბათ, ყველას (მეცნიერსა თუ არამეცნიერს) აუჩუყდება გული ქართველურ ფიტონიმთა ეტიმოლოგიის პირველი დიდებული მკვლევრის, აკადემიკოს ნიკო მარის საუკუნეზე მეტი ხნის წინ ნათქვამ სიტყვებზე: ფილოლოგთა მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მცენარეთა სამყაროს შესწავლას, პოეზიასა და მხატვრულ ლიტერატურაში კი ისინი დღემდე ტკბებიან ყვავილთა კეთილსურნელებით, უნაზესი არომატისა და ფერის ნაყოფთა სილამაზის, ხეებისა და ბალახების დახვეწილი ფორმების ჭკრეტით, მაგრამ გულგრილი რჩებიან ამ კულტურათა ისტორიის მიმართ (Март Н. Я. Яфетические названия деревьев и растений, ИИАН, I-III, Санкт-Петербург, 1915: 769-770).

იოჰან გიულდენშტედტიდან (1745-1781 წ.წ.) დაწყებული სვანეთში მივლინებულ უცხოელ მკვლევართა უმრავლესობა ბუნებისმეტყველი იყო, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მათ ლექსიკურ ჩანაწერებში თვალი მივადევნოთ ფიტონიმთა გრამატიკულ ფორმებს; ამასთანავე აშკარაა, რომ ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულენოვან გამოკვლევებში გაცილებით უფრო სწორადაა წარმოდგენილი სვანურ ფონემათა შესატყვისი ლათინური ტრანსკრიფცია, ვიდრე მათ რუსულენოვან თარგმანებში ან რუს ავტორთა შრომებში, თუმცა მას შემდეგ (1864 წ.), რაც თბილისში გამოქვეყნდა აკადემიკოს პეტრე უსლარის „Лушну анбан (Сванетская азбука)“ თითქოს ერთგვარად გაუმჯობესდა სიტუაცია.

ამჯერად ჩვენ შევხებით პეტერბურგში მოღვაწე ორი გერმანელი აკადემიკოსის **ივანე ბართოლომეისა** (1813-1870 წ.წ.) და **გუსტავ რადეს** (1831-1903 წ.წ.) ნაშრომებს, რომელთა სვანურ ლექსიკურ მასალებში ფიტონიმები ორ ზემოსვანურ დიალექტზეა წარმოდგენილი და ერთმანეთთან შედარებული.

ივანე ბართოლომეის „Поездка в Вольную Сванетию в 1853 году“ დაიბეჭდა კრებულში „Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества“ (III, Тифлис, 1855). მას მარი ბროსემ „ანტიკვარის მარშრუტი“ უწოდა, ხოლო ადოლფ ბერჟემ – „ჩინებული სტატია“, თავად ავტორმა კი ძალიან თავმდაბლურად მოიხსენია თავისი ნაღვაწი „სუსტ ოროგრაფიულ ნარკვევად“. ივ. ბართოლომემ 500 სიტყვიანი ლექსიკონი ბუდობრივი სისტემით გააწყო, ამასთანავე, სრულიად დაუფარავად და მოურიდებლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება სვანეთში მირთმეული ზოგი მცენარისგან დამზადებული შეჭამადის მიმართ. ასე მაგალითად: მას არ მოსწონს ჭვავის შავი პური (გვ. 22), დღესაც რომ სიამოვნებით მიირთმევენ სვანები, და წითელი მოცვი *Vaccinium arctostaphylos* (*oxycoccus*), რომლისგანაც აკეთებენ არაარმატულ და უგემურ ნახარშს, ჩაისთან რომ არანაირი მსგავსება არ აქვსო (გვ. 59). სტატიის ავტორი გახზავს, რომ კავკასიაში რატომღაც გავრცელებული რწმენა სვანეთის ერთ ნაწილში ჩაის ხის არსებობის შესახებ, მტკნარი ზღაპარია, ხოლო ულამაზესი ყვავილები ისეთივეა, როგორადაც გამოირჩევა ჩვენი ინგერმანული ფლორა, ოღონდ ვეებერთელა მოცულობისააო.

შემდეგ კავკასიაში (და მათ შორის სვანეთშიც) 1864-1865 წლებში იმოგზაურა გუსტავ რადემ და იმავე ჟურნალის VII ტომში, სადაც თავის დროზე დაიბეჭდა ივანე ბართოლომეის სვანური მასალები, გამოქვეყნდა მისი ნაშრომის (*Berichte über die biologisch-geographischen Untersuchungen in den Kaukasusländern*) პირველი ნაწილის („Reisen in Mingrelischen Hochgebirge und in seinen drei Längenhochtälern – Rion Tschenistschali und Ingur“) რუსული თარგმანი „Путешествие в Мингрелских Альпах в трёх их верхних продольных долинах – Рион, Цхенисцхали и Ингур“).

სტატიაში წარმოდგენილი ლექსიკონი მცირეა (გერმანულ დედანში გვ. 84-91, ხოლო რუსულ თარგმანში გვ. 121-126), მაგრამ ძალზე საინტერესოა. აქაც, ივ. ბართოლომეის მსგავსად, ბუდობრივი სისტემა გვაქვს: ანთროპონიმები (მამაკაცთა და ქალთა სახელები – როგორც არქაული, ამოკრებილი პერგამენტზე შესრულებული ძველისძველი ხელნაწერიდან, ისე XIX საუკუნეში გავრცელებული), არსე-

ბითი, რიცხვითი და ზედსართავი სახელები, ზმნები (პირიანი და უპირო ფორმები), მცენარეთა სახელები და ა. შ. მთავარი ისაა, რომ ბატონ გუსტავს გამოყოფილი აქვს სპეციალური მონაკვეთი შენიშვნებისთვის (Anmerkungen), სადაც აღნიშნულია განსხვავებანი არა მხოლოდ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ზოგიერთ კილოკავს შორის, არამედ საგანგებოდაა შედარებული მისი მასალები ივანე ბართოლომეის 500 სიტყვიან ლექსიკონთან და გვაქვს მეტად საინტერესო მსჯელობანი. მაგალითად: ბატონ ბართოლომეისთან **maré** არის **Mensch** („კაცი, ადამიანი“), ხოლო **Swash¹ mare – Mann** („კაცი“), ფარში კი არავინ ხმარობს „კაცისთვის“ **tschasch** („ქმარი“)-ს, კატეგორიულად აცხადებს გ. რადე (გვ. 85). თუმცა „საგაზაფხულო ხორბლისთვის“ მას ფარში სწორად შეუნიშნავს **კულ** იმ დროს, როდესაც ჟიბიანიში დასახელებულია **kále** (ან არქაული მონაცემია, ან ბატონ გუსტავს **კალუ** „კალო“ ჰგონია **კულ**).

რა გასაკვირია, რომ გერმანელმა მეცნიერმა (თუნდაც არალინგვისტმა!) უმლაუტი, ძირითადად, სწორად შენიშნა სვანურში, მაგრამ რატომღა მის (და სხვებისაც) მასალებში **ě** გრაფემაც წარმოდგენილი, ჩვენთვის მთლად ნათელი არაა (**пѣту** „ვეტვი“, შდრ. თანამედროვე ბზ./ლნტ. **ფატუ** და ბქ./ქსვ. **ფიტუ**).

გერმანელი ბუნებსმეტყველი, ძირითადად, მუშაობდა უმზგულის თემის სოფელ ჟიბიანიში (ბზ.), სადაც ალპური ვარდების მუქ ფერს თანდათანობით ცვლიდა ხოლმე არყის ხეების ნათელი სიმწვანე, და სოფელ ფარში (ბქ.). ამიტომ არ უნდა იყოს მოულოდნელი მის ჩანაწერებში თანხმოდანთკომპლექსთა მკვეთრი ვარიანტები: **შტუხუნდ** („თხილნარი“), **ვუსვ** („ვამლი“), **უმკულ** („უმგული“), რომლებიც ძალიან ჰგვანან უმზგულის მომიჯნავე მეტყველების – ლენტეხური დიალექტის ფორმებს.

იშვიათად სვანურ მონაცემებთან შესადარებლად გუსტავ რადეს მოჰყავს მეგრული ლექსემაც და მათი ანალიზის საფუძველზე ასკვნის: „თავისუფალი სვანეთის“ ზემო ნაწილში სვანური მეტყველება უფრო მეტად უახლოვდება ქართულს, „სადადემქელიანოში“ კი – მეგრულს (გვ. 119).

¹ ალბათ, ცუდად ტრანსკრიფირებული Schwanäsich („სვანეთის“) იგულისხმება!

ცხადია, შეცდომებიცაა გ. რადეს ნაშრომში (ძირითადად, ტრანსკრიფციული ხასიათისა, თანაც, გერმანულ დედანში – ნაკლები, ხოლო რუსულ თარგმანში მეტი, რისთვისაც მთარგმნელები სქოლიოში იხდიან ბოდიშს), მაგრამ მაინც ის გაცილებით უფრო მაღალი დონისაა, ვიდრე ივანე ბართოლომეის სტატია. გ. რადეს გამოკვლევას ღირსებას მატებს ისიც, რომ ბოლოს (გვ. 200-222) მას დართული აქვს კავკასიაში (მათ შორის სვანეთშიც!) გავრცელებული მცენარეების სია ლათინური ტრანსკრიფციით. იგივე მონაცემები მოთავსებულია რაფაელ ბერნოვილის წიგნშიც “La Sovanétie libre”, Paris, 1875.

გ. რადეს ლექსიკონი მხოლოდ ორენოვანია (გერმანულ-სვანური), მაგრამ, რაკი თარჯიმნებმა გერმანულს რუსული ლექსიკა ამჯობინეს, ამიტომ სვანურ ფიტონიმებს ჩვენ სამი ენის (გერმანულ-რუსულ-სვანური) მონაცემების მიხედვით განვიხილავთ. ამასთანავე, რუსულ თარგმანში თითქმის ყველა მცენარესთან წარმოდგენილია შესაბამისი ლათინური სახელწოდებაც.

საერთოდ კი ბუნებისმეტყველი მკვლევრის ველზე მუშაობის მეთოდოლოგია შესაძლოა ზოგჯერ ჩვენთვისაც მისაბამი იყოს, თუმცა ნაშრომის ავტორი სულ ბოდიშს უხდის ლინგვისტებს: გარკვეულ ფონემათა ფიქსაციისას მხოლოდ გერმანულ ანბანს ვიყენებდით.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემის – „ქვეშევრდომები“ – პოეტურ-ლინგვისტური თავისებურებებისათვის

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემა „ქვეშევრდომები“ იმ უცნობ პოემათა რიგს განეკუთვნება პოეტის შემოქმედებიდან, რომელთა შესახებაც საზოგადოებამ მისი 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულით (შოთა ნიშნიანიძე – 90, საიუბილეო კრებული, თბ., 2019) შეიტყო. პოემა მრავალმხრივ საინტერე-

სოა როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმოზირებ-სტრუქტურული თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე დაკვირვებას წარმოვადგენთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პოემის შინაარსის მეტად ტკივილიანი და ღრმად სევდიანი სამყარო, რამდენადაც მასში გადმოცემული ამბავი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და სამარცხვინო ფურცელია ქართველთა ცხოვრების არცთუ ისე შორეული ისტორიიდან (ამბავი ეხება მე-19 ს-ის პირველი ნახევრის საქართველოში რუსის ხელმწიფის (ალექსანდრე III) სტუმრობისა და გამასპინძლების თემას და მასთან დაკავშირებულ მწარე სინამდვილეს – ქართველი მანდილოსნის უპატიურ ხვედრს). პოემის სახელწოდებაც **ქვეშევრდომები** ამ ტრაგიზმისადმი პოეტის მძაფრი დამოკიდებულების გამოძახილია. ყველა თავმოყვარე ქართველის მსგავსად, ამ ტრაგედიას პოეტიც პირად უბედურებად მიიჩნევს და საკუთარ განცდილ-ნააზრევს პოემის სტრიქონებით გვანდობს.

პოემა ვერლიბრითაა აწყობილი. ტექსტის მხატვრულ-სტილისტიკური თავისებურებებიდან ყურადღებას იქცევს: ძახილის, კითხვითი და კითხვა-ძახილის წინადადებები, ასევე დაფარულ-დაუსრულებელი ან უკეთ, ნაირგვარ ფიქრთა და ემოციათა მიმანიშნებელი ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები სამწერტილით. ტექსტის ამგვარი გაფორმება ტრაგიკული ამბის აღწერას სამგლოვიარო იერს აძლევს, მით უფრო, რომ სათანადო შინაარსობრივი სიღრმისათვის ძალზე ხშირადაა გამოყენებული შორისდებული ვაი//ვაიმე („ვაი, სირცხვილო!“, „ვაი სიღარიბეო... და ვაი და ვაი, სიხარბეო...“, „ვაი შე საბრალოვ, შე ცოდვის შვილო“, „ვაიმე ჩემო შორეულო მიჯნურო“ და სხვ.). გლოვის ზარივით ხმიანობს მთელს პოემაში ვეება წუხილისა და დამცრობა-სიძიმისლის გამომხატველი ზმნა **ჩაუწვინეს** („იმპერატორს ულამაზესი ქართველი ასულიც ჩაუწვინესო“, „რა საშინელი სიტყვაა „ჩაუწვინეს“... – მეხით გატენილი / და თან მიწაზე მუცლით მხოზავი... ერთდროულად ურცხვიც და თავისმომჭრელიც...; „ჩაუწვინესო...“ ამას როგორ ვწერ... / ან დაწერილს როგორ ვკითხულობ!“ და სხვ.). საზოგადოებრივი ყოფის სიმწირესა და მის წევრთა მანკიერებებს (რატომღაც მუდამ აქტიურად თანამედროვეს) არაერთი მძაფრი სტრიქონი ეძღვნება პოემაში; ამაზრზენია პასუხი კითხვაზე: „და რისთვის? რისთვის? / – ჩინ-მედლებისთვის! / – ბუზმენტებისთვის! / – ეპოლეტებისთვის!“ სულისშემძვრელია „მდი-

დართა მსხვერპლის“, „ჩინ-მედლების მოყვარულთა ზვარაკის“, საკუთარ თავთან, საკუთარ უმწეობასთან მებრძოლი ცოდვის შვილის ფსიქოემოციური მდგომარეობის აღწერა-შეფასება; მას ხომ ცხოვრება ტირილად ექცა: „ლოცულობდი და ტიროდი... ტიროდი... / ცრემლებითაც და უცრემლოდაც... / და სულ ახალგაზრდა დაიმარხე, ცოცხლად დაიმარხე, / ლიმონისფერი სენით გალეული, როგორც პაწია თოჯინა. / ქვეშევრდომული, მახინჯი საქართველოს ლამაზი თოჯინა“.

პოეტის სურვილისამებრ, მშვენიერ რითმათაგან თავარიდებულ პოემის ტექსტში შედარებები და მეტაფორები სჭარბობს. ძირითადი მეტაფორაა „ღვთაებრივი“ სტუმრის მიერ გაჟღერებული **ქართული ლიმონის სურნელება**, რომლის გამოჩენასაც ტექსტში პოეტის ზიზღნარევი ირონია მოსდევს: „– მეტაფორა! / – ბრწყინავლე მეტაფორა! / ზღაპრულმა პატივმა ევროპის ჟანდარმიც კი – / ეს დიდი სალდაფონი – პოეტად აქცია! / – ბრავო, იმპერატორ, / – ბრავო! / განარა, აღმოსავლეთის მზრძანებელთა / სუფრებსა და ჰარამხანებს / ქართული ლიმონის სურნელება არ აბრუებდა?!“ არანაკლებ ბრწყინვალე მეტაფორაა ქართველ დიდებულთა პატივმოყვარეობის წარმომჩენი სტრიქონებში: „იმპერატორს უკან მისდევდა ქართული კავალერია – / უზარმარი ფარშევანგის ბრდღვიალა კუდი“; „დრომ ჩაყლაპა იმ ფარშევანგის კუდი – / მარაო პირმოთნეობისა – / ჩიხტიკოპიანი საქართველოს ბებრულ სახეზე აფარებული, / ისტორიას კი ფარშევანგის ფეხები და ჩხავილი შემორჩა“. განსაკუთრებულად ძლიერი ემოციური დატვირთვის მატარებელია მსგავსებითი შედარებები: „თურმე ლიმონის ფერის ჰქონია შებღალულ თავმოყვარეობას, / ლიმონის ფერი ჰქონია გათელილ სინდის-ნამუსს, / ქართული ლიმონის ფერი...“; „შორიდან ქართული გალობა ისმოდა, / ახლარომ პოემაში გოდებად შემოლასლასდა, / როგორც ანტიკური თეატრის ქორო – / ანუ ტრაგედიის უძლური მოწმე ბედისწერის წინაშე./; „ო, როგორ გინდოდა სილატაკის ჭაობიდან / ქათქათა დუმფარად ამობრიალება, როგორ გინდოდა!“; „სად აღარ დაჩერჩეტობდა ქართული ლიმონის სურნელი? / შენც გამოწურული ლიმონივით მიგატოვებს...“; „თურმე ლიმონისფერი ყოფილა მწუხარება / და შენც ლიმონის ფერი მოგეძალა – / თეთრ და გაუხარელ დუმფარას“./; „ბნელში იჯექი და ლიმონისფრად ანათებდი“./; „ბებერი კუდიანივით ჩაგიძვრა სულში მაჭანკალი, / ჩაგიძვრა და ჭიანჭველას ბუდესავით

აგიფუტკნა / სინდისი და პატივმოყვარობა“; „და შენს გარშემო მფრინავი ჭიანჭველებივით / აწრიალდნენ ყოყმანისა და თვითგვემის წამები, / ყრუ ქავილივით მსუსხავი წამები“. პოეტის თანაგრძნობის მწვერვალია თანამედროვეთა გულგრილობის მსხვერპლის წმინდა ქეთევან დედოფლისადმი შევედრება: „ქეთევან დედოფლის აჩრდილო, / შენ დაიფარე, ობოლი თავადის ასულის განკიცხული აჩრდილი, / შენი წამებული კალთა გადააფარე / ოქროსა და ჩინ-მედლების მოყვარე მდიდარ ნათესავთაგან / გაბახებულსა და გარეტეზულ საწყალ გოგონას“... /.

ფორმოზრივ-სტრუქტურული თვალსაზრისით დამოუკიდებელი განხილვის საგნად გვესახება პოემის ტექსტში საგანგებო ექსპრესიული დანიშნულებით წარმოდგენილი სინონიმური პარალელიზმი, ასევე პოემის პროლოგისა და ეპილოგის ანტინომიის საკითხი. პოეტი ხომ ქართველთა იმ დიდ ისტორიულ სატკივარზე წერს, რომლის შესახებაც პოემის ტექსტის თანახმად: „და როგორც ამბობენ... / ამბობენ კი არა... როგორც მალავენ... /“. ანტინომია ამ შემთხვევაში ყველაზე მარჯვე პოეტური ხერხი ჩანს არა მარტო პოემის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, არამედ თხრობის ეთიკური რაკურსისა და, მით უფრო, ეროვნული მენტალური თავისებურებების ასახვის კვალდაკვალ.

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

ქვათახევის მონასტერსა და აფხაზეთში დაცული სიძველეები (ქართული ხელნაწერები და სხვადასხვაენოვანი წიგნები 1923 და 1930 წლების საარქივო მასალების მიხედვით)

საქართველოს ეროვნულ არქივში (საისტორიო ცენტრალურ არქივში) დაცულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის (1927-1932 წწ.) **ქრისტეფორე ციცქიშვილის** პირადი ფონდი, სადაც სხვადასხვა მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალებთან ერთად ინახება ქრ. ციცქიშვილის ჩანაწერები ქართული ენის მართლწერის, თარგმნის თავისებურებებისა და სხვა ლინგვისტურ საკითხთა შესახებ.

ამჯერად წარმოვადგენთ რამდენიმე დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1923 წელს **ურბნელი ეპისკოპოსის ქრ. ციციქიშვილის** ნებართვით, ქვათახევის წიგნთსაცავში არსებული, **არქიმანდრიტ ტარასისა** და სხვათა მიერ მოძიებული ნივთები (მაგ. მარმარილოს ქვის ფრაგმენტები ასომთავრული წარწერით), ნუსხურითა და მხედრულით შესრულებული ხელნაწერები და წიგნები შეუძენიათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის. ამ ფაქტს ადასტურებს **ივ. ჯავახიშვილის** ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტი და მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც მოცემულია ნუსხა შეძენილი ნივთებისა და წიგნებისა. დასახელებული საბუთებიდან ჩანს, რომ ზემოაღნიშნული საგანძური ჩაიბარა უნივერსიტეტის რწმუნებულმა **ლეონ მელიქსეთ-ხეგმა** და „უნივერსიტეტში დატოვებულმა“ **გარლამ თოფურია**მ.

7 ფურცელზე (13 გვ.) დაწერილ ნუსხაში მითითებულია, რომ ქართულ უნივერსიტეტს გადაეცა: „სულ 11 ცალი ნივთი, 26 ქართული ხელნაწერი და წიგნები: ფრანგული 41 ცალი, გერმანული 3, ლათინური 1, სომხური 2, სირიული 1, ბერძნული 9, ქართული ჟურნალები 30, ქართული წიგნები 157, რუსული წიგნები 263 და რუსული ჟურნალები 181. ჯამით შვიდას ოცდახუთი ცალი“.

ამ ნივთებიდან ურბნელ ეპისკოპოსს „**საენათმეცნიერო საზოგადოებისთვის**“ უჩუქნია თითბრის ჩარჩოში ჩასმული კომპასი და ამ შემოწირულობის შესახებ ცნობა დაუწერია **ბენედიქტე ჩიქობავას**. დოკუმენტი შედგენილია „საენათმეცნიერო საზოგადოების“ ოფიციალურ ბლანკზე, დამოწმებულია საზოგადოების ორენოვანი (ქართულ-ფრანგული) ბეჭდით და ხელს აწერენ პროფ. **გიორგი ახვლედიანი** (თავმჯდომარე) და **ბენ. ჩიქობავა** (მდივანი).

ამავე ფონდში დაცულია ასევე გალის მაზრის სოფ. აჩიგვარაში, ფუწყურში, წარჩესა და მუხურში მოღვაწე **მღვდელმონაზონ იოაკიმე შენგელაიას** მიერ 1930 წელს ქრ. ციციქიშვილისთვის გაგზავნილი წერილი აფხაზეთში დაცული სიძველეების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, სტატიაში წარმოვადგენთ ნივთების, ქართული ხელნაწერებისა და სხვა ბეჭდური გამოცემების დასახელებებს. ასევე, მოგახსენებთ გადამოწმების შედეგს, კერძოდ, ინახება თუ არა ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საარქივო მასალებში აღნუსხული საგანძური ან რა ინფორმაციას ფლობენ მათ შესახებ.

გამოთქმისათვის: „იდუმალი „გულის კაცი“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის 2021 წლის საშობაო ეპისტოლეში ვკითხულობთ: „როგორც ეკლესიის მამები გვაფრთხილებენ: არ უნდა დაგვავრმავოს არაფერმა, მითუმეტეს ჩვენმა ამქვეყნიურმა წარმატებამ, – ჩვენი გონების, ნების, შემოქმედების უნარმა. ყური უნდა მივაპყროთ ჩვენს **იდუმალ „გულის კაცს“ (სინდისს)** (1 პეტრე, 3,4), გავცნოთ წმინდა წერილს, მამათა სწავლებას და საკუთარ სულში მოვიძიოთ ის, რაც ღვთისაა, რომელიც არის ჩვენი რეალური „მე“... (პატრიარქი ილია II, 2021).

ამ ეპისტოლეში დამოწმებულია პეტრე მოციქულის სიტყვები: „...იყავნ არა გარეშითა მით განთხზვითა თმათაფთა და შესხმითა ოქროფსაფთა... არამედ დაფარული იგი გულისა კაცი, უხრწნელითა მით მშჯდისა მის და მყუდროფსა სულისა წესითა, რომელ არს წინაშე ღმრთისა ფრიად პატიოსან“... (1 პეტრე, 3,4). როგორც წმიდა ამბროსი მედიოლანელი აღნიშნავს, პეტრე მოციქულამდე არავის უსარგებლია ასეთი გამოთქმით – **„დაფარული გულის კაცი“**... ნეტარი ავგუსტინე „გულის კაცის“ შესაბამისად იყენებს გამოთქმას – „შინაგანი კაცი“, რომელიც პავლეს ეპისტოლეებში დასტურდება (მაგ.: „რამეთუ თანა-მნებავს მე შჯულსა ღმრთისასა **შინაგანითა მით კაცითა**“... (რომ. 7, 22); „დაღაცათუ გარეშე ესე კაცი ჩუენი განიხრწნების, არამედ **შინაგანი** განახლდების დღითი დღედ“... (2 კორინთ. 4, 16).

ვფიქრობთ, ქართულში დამკვიდრებული გამოთქმები: გულის ხმა, გულის პასუხი, გულის კარნახით... და ა. შ. ელიფსური შესიტყვებებია, რომელშიც დაიკარგა [იგულისხმება] „შინაგანი კაცი“ ანუ „გულის კაცი“.

მცენარეთა სახელები რაფიელ ერისთავის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში

XIX საუკუნის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა, რაფიელ ერისთავმა, მეტად საინტერესო ლექსიკოგრაფიული ნაშრომებიც დაგვიტოვა. ჩვენ განვიხილავთ მის მიერ შედგენილ ლექსიკონებს: 1. „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“ (1973 წ.), 2. „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“ (1884 წ.). ჩვენი ინტერესის საგანია ამ ლექსიკონებში თავმოყრილი მცენარეთა სახელები.

1884 წლის გამოცემაში მცენარეთა სახელები ცალკე განყოფილებადაა წარმოდგენილი. მასში სალექსიკონო ერთეულთა ძირითადი ნაწილი სამეცნიერო დასახელებითაა (ქართული, რუსული, ლათინური) მოცემული, ამასთან, ლექსიკონი ითვალისწინებს რიგი ქართული დიალექტებისა (ქართლ-კახურის, იმერულის, გურულის, რაჭულის, ფშაურის, მთიულურის) და ერთ-ერთი ქართველური ენის (მეგრულის) მონაცემებს.

ორივე ლექსიკონს ახლავს რაფიელ ერისთავის წინასიტყვაობა ქართულ და რუსულ ენებზე. შესავალში მკაფიოდ და ლაკონურადაა ჩამოყალიბებული ლექსიკოგრაფის მიზნები, პრინციპები, ერთგვარი მეთოდოლოგია, რაც, თავისთავად, ფრიად საყურადღებოა და მას ზედმიწევნით გავაანალიზებთ მოხსენებაში; შევხებით იმ სირთულეებსაც, რომლებიც თან ახლავს რიგ სალექსიკონო ერთეულთა მნიშვნელობების ამოცნობას (მცენარის იდენტიფიცირებას). ამასთან, განვიხილავთ იმ სალექსიკონო ერთეულებს, რომელთა განმარტებანი ერთგვარი გასაღები აღმოჩნდა სხვა ლექსიკონებში ბუნდოვნად, ან, სულაც, განმარტების გარეშე დარჩენილ ფიტონიმთა ამოსაცნობად; აქვე წარმოვადგენთ მცენარეთა სახელებს, რომლებიც მხოლოდ რ. ერისთავის ლექსიკონებში დასტურდება და ძვირფასი შენაძენია „მცენარეთა სახელების კრებისთი ლექსიკონისათვის“ (ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დ. ჭელიძე).

შეკრებითი რიცხვითი სახელის შესახებ მეგრულში

ადრინდელ პუბლიკაციებსა და მოხსენებებში (2016-2021) განვიხილეთ დანაწევრებითი და დაახლოებითი რიცხვითი სახელები მეგრულში. ამჯერად იმ რიცხვითი სახელის შესახებ გვექნება მსჯელობა, რომელიც საგანთა სიმრავლეს როგორც ერთობას, ერთ მთლიანობას წარმოგვიდგენს; მას **შეკრებითი რიცხვითი სახელი** შეიძლება ვუწოდოთ (ინგ. collective numeral, რუს. соберательное числительное).

შეკრებით შინაარსს მეგრულში **-ხოლო** გადმოსცემს, რომელიც სათანადო რაოდენობით რიცხვით სახელს დაერთვის: **ყირხოლო** „ორივე ერთად“, **სუმხოლო** „სამივე ერთად“, **ხუთხოლო** „ხუთივე ერთად“, **ვითხოლო** „ათივე ერთად“, **ოშხოლო** „ასივე ერთად“ და ა. შ.

-ხოლო-ს სხვა ფუნქციაც აკისრია, კერძოდ, ის გარკვეულ შემთხვევაში ქართული **-ც** ნაწილაკის ფარდად მიიჩნევა (პ. ჭარაია, ი. ყიფშიძე, ო. ქაჯაია...).

მეგრული **-ხოლო**-ს მასალობრივი და შინაარსობლივი კავშირი სრულმნიშვნელოვან სიტყვებთან – **ხოლო** „ახლო“ და **ხოლოს**, „ახლოს“, აშკარაა.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**